პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

პარასკევი
3
სექტემბერი
1937 წ.
№ 201 (5002)

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკ-ის ორგანო

დღეს გაზეთში:

- თესვას ოპერატიულად ვუხელმძღვანელოთ (მოწინავე).
- „ანტ-25"-ის ეკიპაჟის დაჯილდოება.
- ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ. სამიის დეპეშა ამხ. პოტიომკინს.
- სოფ. მოსიჩრაფიშვილი—მეტი ყურადღება უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლას. (ფელეტონი).
- ალ. სულავა — მწერლები მეომრები (ფელეტონი).

უცხოეთში

- შანხაის ფრონტზე.
- ესპანეთის ფრონტებზე.
- სამხედრო მოქმედებანი ჩრდილო ჩინეთში.
- პარტიზანული რაზმების აქტიურობა ჩრდილო ჩინეთში.
- იაპონიის სიძნელენი მანჯოუგოში.

თესვას ოპერატიულად ვუხელმძღვანელოთ

ორდენოსანი საქართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უხვ მოსავალს ღებულობენ. უხვი დოვლათი ახარებს კოლმეურნეთა გულს. კოლმეურნეთა შეძლებულობის შემდგომი ზრდა განსაკუთრებით აშკარად ხდება ამჟამად, როდესაც ისინი ანაწილებენ თავთავიან კულტურათა უხვ მოსავალს.

ხალხის უსაზიზღრესი და უბოროტესი მტრები — ტროცკისტი და მენშევიკი მახინჯები ავრცელებენ ცილისწამებას, თითქოს საქართველოში სპეციალური და ტექნიკური კულტურების განვითარებასთან დაკავშირებით მცირდებოდეს მარცვლეულ კულტურათა ფართობი. ეს პირწავარდნილი კონტრრევოლუციური ლაყბობა გააბათილა ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულმა შვილმა, ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ საქართველოს კ. პ. (ბ) მეათე ყრილობაზე.

ფაქტია, რომ ჩვენში მარცვლეული კულტურების ფართობის ზრდასთან ერთად ყოველწლიურად იზრდება მოსავლიანობაც. მაგრამ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მოგველის მარცვლეულ კულტურათა მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის. რადაც უნდა დაგვიჯდეს, 1938 წელს ისეთი მოსავალი უნდა მივიღოთ, რომელიც არ ახსოვს საქართველოს. ეს გვიკარნახებს მარცვლეულ კულტურათა საშემოდგომო თესვა ჩავატაროთ დაწესებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად.

ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ყველგან როდი აქვთ სათანადოდ შეთვისებული. მთელი სიმკაცრით უნდა განვაცხადოთ, რომ მთელი რიგი რაიონები თვითკმაყოფილებას მიეცნენ წლევანდელი კარგი მოსავლით და ცუდად მოემზადნენ თესვისათვის. ამით აიხსნება, რომ ამჟამად საშემოდგომო თესვა ისე არ არის გაშლილი, როგორც ამას პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი მოითხოვენ.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 2 აგვისტოს დადგენილებით ახალციხის, ბოგდანოვკის, წალკისა და ონის რაიონებმა საშემოდგომო თესვა 10 სექტემბრისათვის უნდა დაამთავრონ, თიანეთის რაიონმა—15 სექტემბრისათვის; ბორჯომისა და ბაშკიჩეთისამ—20-სათვის, ხოლო დუშეთისა, ამბროლაურისა და ცაგერისამ—25-თვის და ასე შემდეგ. განა თესვისადმი უსულგულო დამოკიდებულების შედეგი არ არის, რომ 1 სექტემბრისათვის წალკისა და ონის რაიონებს თესვა დაწყებულიც არ ჰქონდათ? არ არის მზად თესვისათვის დუშეთის რაიონიც. მტს-ი სრულ უილაჯობას იჩენს და კოლმეურნეობებს ვერ უწევს ოპერატიულ ხელმძღვანელობას თესვის სამუშაოებისადმი. დუშეთის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში სათესი ფართობები არ გაუწმენდიათ ჯაგნარისა და ქვებისაგან. ამის გამო ბრკოლდება ხვნაზე ტრაქტორების სრული დატვირთვით მუშაობა. ზემოთჩამოთვლილი რაიონების მეწინავეებმა და მტს-ებმა ჯერ კიდევ არ იციან, თუ რა კეთდება ადგილებზე.

ცუდად ემზადებიან თესვისათვის დაბლობი რაიონებიც, სადაც თესვა ოქტომბრის სხვადასხვა რიცხვებში უნდა დამთავრდეს.

ყველა პირობა არსებობს მაღლობ რაიონებში თესვის მასობრივად გასაჩაღებლად. ამინდიც ხელშემწყობია. მაგრამ ხელსაყრელი პირობები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გამოყენებული.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ თავის დროზე მისცა დავალება რაიონებს, რომ თესვის დაწყებამდე 15-20 დღით ადრე დაამთავრონ მინდვრის ძირითადი მოხვნა. მაგრამ საშემოდგომო ხვნის ვადაზე შესრულება აშკარად საფრთხის წინაშეა. 25 აგვისტოსათვის საშემოდგომოდ მოხნული იყო 29.560 ჰექტარი (გეგმის 13,8 პროც.). ახალქალაქის რაიონს ხვნის გეგმა ამავე რიცხვისათვის შესრულებული ჰქონდა 7,2 პროცენტით, ახალციხისას—სანახევროდ, ბოგდანოვკისა და წალკის რაიონებს დაწყებულიც არ ჰქონდათ, მაშინ როცა მათ თესვა 10 სექტემბერს უნდა დაამთავრონ. საშემოდგომო ხვნის კარგ მაჩვენებლებს ვერცერთი რაიონი ვერ დაიკვეხნის.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების ყურადღება ჯერ კიდევ არ არის მობილიზებული ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა თესლის საკითხი. მთელ რიგ რაიკომებსა და რაიაღმასკომებს და თვით „ზაგოტზერნოს" ჯერ კიდევ არ გამოუყვანიათ სათანადო დასკვნები სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 29 ივნისის დადგენილებიდან „მარცვლეულ კულტურათა თესლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". ამის შედეგია, რომ შეუწყნარებლივ ნელი ტემპებით მიმდინარეობს თესლის გადაცვლა კოლმეურნეობებს შორის. კოლმეურნეობები აჭიანურებენ „ზაგოტზერნოს" პუნქტებიდან ჯიშიანი სათესლე მასალის გატანას. არ შეიძლება არ აღინიშნოს რაიმიწგანებისა და მტს-ბის შეუწყნარებელი უდარდელობა ამ ფრიად პასუხსაგებ საქმეში.

უხეიროდ მუშაობს „ზაგოტზერნო". იგი აგვიანებს რაიონებში სათესლე მასალის გადაგზავნას. „ზაგოტზერნოს" მიმღები პუნქტებიდან ბორჩალოში, თელავსა და გორში სათესლე მასალა ისე გადაგზავნეს, რომ მას არ ახლდა თესლის ჯიშიანობისა და ვარგისიანობის მოწმობა. განა ამას უწოდებენ „ზაგოტზერნოს" ხელმძღვანელი მუშაკები ოპერატიულ მუშაობას?

ბევრგან უგულებელყოფილია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, როგორიცაა თესლის ტრიერება და გაწმენდა. 25 აგვისტოსათვის ტრიერში გატარებული იყო სულ 33.364 ცენტნერი თესლი, ანუ 7,7 პროცენტი. ეს სამუშაო ამ დროისათვის დაწყებული არ ჰქონდათ ახალქალაქის, ბოგდანოვკის, თიანეთისა და ონის რაიონებს. თესლის გაწმენდასა და დახარისხებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. კახეთის ყველა რაიონში, აგრეთვე ხაშურშიაც. ეს სამარცხვინო ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ მოუგვარებელია ტრიერების რემონტი. ულიანოვკის მტს-მა (სიღნაღის რაიონი) 16 ტრიერი უნდა შეაკეთოს. მაგრამ აქ ტრიერების ტექნიკურად შემოწმებაც არ დაუმთავრებიათ. გურჯაანის რაიონში ტრიერები ცუდად შეაკეთეს და ამის გამო ხშირ გაცდენებს აქვს ადგილი.

არის იმის სიგნალები, რომ ყურადღება არ ექცევა ხვნის ხარისხს. საილუსტრაციოდ დუშეთის რაიონს დავასახელებთ. ჩრდილელიანთ-კარის კოლმეურნეობაში 3 ჰექტარი მიწა 10-12 სანტიმეტრზე მოხნეს, ნაცვლად 18-22 სანტიმეტრისა. აქა-იქ ვხვდებით ხარვეზებით მოხნულ ნიადაგსაც. სამწუხაროდ, დუშეთის რაიონი გამონაკლისს არ წარმოადგენს.

მემარჯვენე კონტრრევოლუციონერ მავნებელთა სიღნაღის ორგანიზაციის პროცესზე, რომელიც ახლახან დამთავრდა, გამოირკვა, რომ ხალხის მტრები განზრახ ატარებდნენ ნიადაგის ზერელედ მოხვნას, სთესდნენ დანაგვიანებულ თესლს, რათა დაეცათ მოსავლიანობა საკოლმეურნეო მინდვრებზე.

ზემოთმოყვანილი ფაქტებიდან სჩანს, რომ ზოგან ჯერ კიდევ არ გამოუტანიათ საჭირო დასკვნები ხალხის მტრების მავნებლურ-დივერსიული მუშაობიდან.

ჯერ კიდევ არის დრო იმისათვის, რათა გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი და საშემოდგომო თესვა თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დავამთავროთ, სულ ბევრი, 7-8 სამუშაო დღის განმავლობაში. ვინც დაუშვებს ამ ვადის გაჭიანურებას, იგი წყალს უშვებს მტრის წისქვილზე. თესვის ვადების დარღვევა იწვევს მოსავლის შემცირებას. აი რა უნდა იქნას მტკიცედ გათვალისწინებული. საჭიროა თვითეული სამუშაო უბნის საფუძვლიანად შემოწმება. ამ პასუხსაგებ უბნებზე უნდა დავაყენოთ ყოველმხრივ შემოწმებული, ლენინ-სტალინის პარტიის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები. უნდა შევამოწმოთ ტექნიკური საშუალებანი და ყოველმხრივ უზრუნველვყოთ მათი შეუფერხებელი მუშაობა.

პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, რაიაღმასკომებმა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა საშემოდგომო თესვას მთელი სერიოზულობით უნდა მოჰკიდონ ხელი და მას ნამდვილი კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიონ.

ჩაის ფოთლის დამზადება

„საქჩაის" 1 სექტემბრის ცნობებით

რაიონები	დამზადებულია სეზონის დაწყებიდან ტონობით	აგვისტოში დამზადდა ტონობით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	წინა თვეების დანაკლისის დამატებით აგვისტოს გეგმის შესრულება პროც.
ბათუმი	916,5	277,5	88,6	96,7
ქობულეთი	4.285,9	1.393,4	81,3	76
სულ აჭარის ასსრ	5.202,4	1.670,9	82,5	78,8
გალი	1.264,4	407,5	85,4	91,6
ოჩემჩირე	632,1	205,2	83,6	86,1
სულ აფხაზეთის ასსრ	1.896,5	612,7	84,8	89,7
მახარაძე	5.168	1.759,4	83,2	82,6
ჩოხატაური	638	204,8	88,6	98,6
ლანჩხუთი	2.150,8	728,5	87,4	96,1
სამტრედია	108,6	24,7	86,3	85,2
წულუკიძე	309,8	91,4	91,4	108,6
ქუთაისი	44,3	12,8	110,8	128
ტყიბული	188,1	53,9	104,5	119,8
ცხაკაია	554,7	178	94	126,5
გეგეჭკორი	1008,2	293,9	85,7	90,9
ზუგდიდი	2.069	674,2	82,5	83,8
წალენჯიხა	659,1	211,6	74,9	64,7
ჩხოროწყუ	510	140,3	90,3	106,1
ხობი	152,8	48,8	89,9	106,1
სულ	20.650,3	6.700,9	84,3	85,5
1936 წლის 1 სექტემბერს იყო	14.981,6	4.643	77,8	68,4

○

აგვისტოს პირველ ხუთდღიურში დამზადდა 594,6 ტონა ჩაის ფოთოლი, მეორეში — 990,4 ტონა, მესამეში — 1046,3 ტონა, მეოთხეში — 1136, მეხუთეში — 1340, მეექვსეში კი 1.593,6 ტონა ჩაის ფოთოლი.

სამხედრო მოქმედება ჩინეთში

შანხაის ფრონტზე

შანხაი, 1 სექტემბერი (საქდესი). საომარ მოქმედებათა ცენტრი შანხაის ფრონტზე უკანასკნელ დღეებში გადატანილია უსუნის (შანხაის ჩრდილოეთით) რაიონში. აქ, მიუხედავად ჩინეთის ჯარების შეუპოვარი წინააღმდეგობისა, იაპონელები განაგრძობენ თავიანთი დამხმარე ძალების გადმოსხმას. სოფელი უსუნი იაპონელებმა დაიკავეს. იაპონიის ჯარები ისწრაფიან მოსწყვიტონ ბაზებს ჩინეთის ჯარები, რომლებიც იცავენ შანხაის.

30 აგვისტოს ღამით იაპონიის ჯარებმა იერიში მიიტანეს ჩინელთა პოზიციებზე შანხაიში, ჩრდილოეთის ვაგზლის რაიონში, მაგრამ ეს იერიში უშედეგოდ დამთავრდა. ცეცხლწამკიდი ყუმბარებით, რომლებიც იაპონიის თვითმფრინავებმა ჩამოყარეს, ვაგზლის რაიონში 30 აგვისტოს საღამოთი დიდი ხანძარი გაჩნდა.

ტოკიო, 31 აგვისტო (საქდესი). ყველა იაპონური წყარო წინანდებურად ფიქრობს, რომ ნანკინის მთავრობა ყველაზე მეტ მნიშვნელობას აძლევს შანხაის ფრონტს და რომ მან ამ რაიონში უკვე მოუყარა თავი 100 ათასზე მეტ ჯარს. ოპერაციათა მთავარ ხელმძღვანელად შანხაის რაიონში, იაპონელთა ცნობით, დანიშნულია ბაი ძუნსი.

დომეი ცუსინის შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იაპონიის ჯარებმა 31 აგვისტოს საზღვაო ძალებისა და ავიაციის დახმარებით ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ „სავსებით დაიკავეს სიმაგრე უსუნი, რომელიც უმნიშვნელოვანეს გამაგრებულ პუნქტს წარმოადგენს მდინარე ვანპუს ქვედა წელში".

სამხედრო მოქმედება ჩრდილო ჩინეთში

შანხაი, 1 სექტემბერი (საქდესი). იაპონური ცნობებით, კვანტუნის არმიის (იაპონიის საოკუპაციო არმია მანჯურიაში) ნაწილებმა დაიკავეს სიჩეინი (ჩახარის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი) და ცდილობენ გააბან კავშირი იაპონიის არმიის ნაწილებთან ჩრდილო ჩინეთში. იაპონიის ავიაცია ყუმბარებს უშენს ჩინეთის ჯარებს, რომლებიც თავმოყრილი არიან სიჩეინის, ვეისიანის (ჩახარის პროვინცია) და ლაიუანის (ხებეის პროვინცია) რაიონში. კალგანის რაიონში იაპონელებმა დაიკავეს გოლეიჩუანი (კალგანის სამხრეთ-აღმოსავლეთით) და სინბაოანი (კალგანსა და ხუაილაის სადგურს შუა).

ჩინური ცნობებით, ლიუ ჟუ-მინის ჯარის ნაწილები კალგანის ევაკუაციის შემდეგ თავს იყრიან კალგანის სამხრეთით მდებარე რაიონში და ამზადებენ კონტრშეტევას კალგანზე.

ტოკიო, 31 აგვისტო (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტოს კორესპონდენტი ჩენდიდან (ჟეხეს პროვინცია) იუწყება, რომ ჩახარის პროვინციის აღმოსავლეთ საზღვარზე მოქმედმა მანჯოუგოს ჯარებმა „იაპონიის ჯარების დახმარებით" 30 აგვისტოს დაიკავეს ჩიჩენი (კალგანის აღმოსავლეთით) და, ამგვარად, ამ ჯარების ხელში ამჟამად არის „მნიშვნელოვანი სტრატეგიული ხაზი, რომელიც მიიმართება დუშიკოუდან სამხრეთით ჩიჩენზე გავლით უნინჩენისაკენ".

ბრძოლა უსუნისათვის

ტოკიო, 1 სექტემბერი (საქდესი). დომეი ცუსინის შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ დღეს ჩინელმა ჯარებმა სწრაფი იერიში მიიტანეს უსუნის სიმაგრის ასაღებად. იაპონიის ჯარები ჯერჯერობით ინარჩუნებენ სიმაგრეს, მაგრამ ამ ბრძოლაში დაჰკარგეს 100-მდე ოფიცერი და ჯარისკაცი მოკლული, თუ დაჭრილი.

იაპონიის ჯარების ნაწილებს, რომლებიც შედიან არმიის დესანტში, დომეი ცუსინის სააგენტოს სიტყვით, მოუკლეს 95 ჯარისკაცი და 5 ოფიცერი და დაუჭრეს 113 ჯარისკაცი და 6 ოფიცერი.

ჩინელი ხალხი ბოლომდე დაიცავს თავის ქვეყანას

შანხაი, 1 სექტემბერი (საქდესი). ჩინეთის გაზეთების ცნობით, ჩან კაი-შისთან 30 აგვისტოს გამართულ ინტერვიუში რეიტერის სააგენტოს სპეციალურმა კორესპონდენტმა, სხვათა შორის, მისცა მას კითხვა რა პოლიტიკური და სამხედრო შედეგები მოუტანა უკვე ჩინეთს ჩინეთ-იაპონიის კონფლიქტმა.

ჩან კაი-შიმ განაცხადა, რომ კონფლიქტმა უკვე ასეთი შედეგები გამოიღო: 1) კონფლიქტმა გამოიწვია ჩინელ ხალხის გაერთიანება ქვეყნის დაცვის ლოზუნგით ულმობელი მტრისაგან, რომელიც ფეხქვეშ სთელავს საერთაშორისო უფლების ყოველივე საფუძველსა და ადამიანის ქცევის ელემენტარულ წესებს. მტერი შემოიჭრა ჩინეთში, ხოცავს ჩინელსა და უცხოელ მშვიდობიან მოსახლეობას და ანადგურებს მის ქონებას; 2) ჩინეთი რწმუნდება, რომ უცხოეთის სახელმწიფოები, ალბათ, შეურიგდნენ საერთაშორისო უფლების დარღვევას და ამ უფლების შეცვლას ინციდენტთა სისტემით, რომელთაც იყენებენ სხვის ქვეყანაში შეჭრის, ოკუპაციისა და ანექსიების გასამართლებლად; 3) ჩინეთი დარწმუნდა, რომ იაპონიას აქვს მუდმივი განზრახვა დაანგრიოს ჩინეთის უმნიშვნელოვანესი საზღვაო ნავსადგურები, რაც გამოიწვევს ვაჭრობის დაღუპვასა და უცხოეთის სავაჭრო და საფინანსო ინტერესთა გაძევებას ჩინეთიდან, როგორც ეს მოხდა კორეასა და მანჯურიაში; 4) ჩინეთი დაუმტკიცებს იაპონიას, რომ იგი, თუმცა სუსტია იაპონიასთან შედარებით, მაგრამ მაინც უარს ამბობს დაემორჩილოს იაპონიის პოლიტიკას.

დასასრულ ჩან კაი-შიმ გამოსთქვა რწმენა, რომ იაპონიამ, კიდეც რომ განაგრძოს თავისი აგრესია, ჩინეთი მაინც არ იქნება დამარცხებული, ვინაიდან, როგორი შედეგიც უნდა მოჰყვეს ჩინეთ-იაპონიის ახლანდელ კონფლიქტს, ჩინელი ხალხი ბოლომდე დაიცავს თავის ქვეყანას.

გმირი ჩინელი ხალხი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში

შანხაი, 1 სექტემბერი (საქდესი). ნანკინის გაზეთებმა გამოაქვეყნეს განცხადება ფინ იუი-სიანისა, რომელიც ეს არის დაბრუნდა ნანკინს შანხაის ფრონტიდან. განცხადებაში ნათქვამია:

„შანხაის ფრონტის ნახვამ წარუხოცელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ჩინეთის არმიის მეთაურები მხოლოდამხოლოდ ერთ ამოცანას ისახავენ: შეასრულონ ბოლომდე თავიანთი წმინდა მოვალეობა. ისინი სრულებით არ ჰფიქრობენ თავიანთ პირად კეთილდღეობაზე. ჩინელი ჯარისკაცები რჩებიან მშვიდნი და მტკიცენი მიუხედავად მძიმე ბომბარდირებისა იაპონელთა მხრივ. მტრულ მოქმედებათა დაწყებიდანვე შანხაიში ჩინეთის არმიის საბრძოლო სულისკვეთება ჩინებულია. ჩინელმა ჯარებმა დიდი ზარალი მიაყენეს მტერს, რომელსაც მოეპოვება უფრო მძლავრი თანამედროვე შეიარაღება. კიდევ მეტიც, ზურგში მთელი ჩინელი მოსახლეობა განიმსჭვალა გმირული სულით, და იგი მზად არის სიცოცხლე გასწიროს სამშობლოსათვის. მთელი ეს ფაქტები გინერგავენ რწმენას, რომ მტერს მომავალში გაცილებით იმაზე მეტი ზარალი მოუვა, ვიდრე დღემდე მოუვიდა ჩინელი გმირი ჯარისკაცებისაგან. ხალხის ჩინებული დისციპლინა და სიმტკიცე წარმოადგენენ იმ ორ ძალას, რომლითაც ჩვენ გაბედულად ვხვდებით ახლანდელ კრიზისს".

მდგომარეობა ფუძიანის პროვინციაში დაძაბულია

შანხაი, 1 სექტემბერი (საქდესი). პრესის ცნობებით, მდგომარეობა ფუძიანის პროვინციაში დაძაბულია. იაპონელ ქალთა და ბავშვთა ევაკუაციის შემდეგ იაპონელებმა გააძლიერეს თავისი აგრესიული მოქმედება. იაპონიის საკონსულოში მოწყობილია სპეციალური მოედანი იაპონიის ავიაციისათვის სიგნალების მისაცემად. ყველა იაპონური სკოლა გადაქცეულია ამუნიციის საწყობებად.

ბრძოლა ძინხაის რაიონში

ტოკიო, 31 აგვისტო (საქდესი). ძინხაის ფრონტზე (ტიანძინის სამხრეთით) იაპონიის ჯარებმა 30 აგვისტოს დაიკავეს ლინგუანტუნი. იმავე დღეს არმიის ავიაცია ყუმბარებს უშენდა ქალაქ ცანჯოუს, ტიანძინ-პუკოუს რკინიგზაზე.

ტოკიო, 31 აგვისტო (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტოს ტიანძინელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ იაპონიის ჯარებმა 31 აგვისტოს საღამოს დაიკავეს ვანკოუჩენი (ძინხაის სამხრეთით).

პარტიზანელი რაზმების აქტიურობა ჩრდილო ჩინეთში

ტოკიო, 31 აგვისტო (საქდესი). ცალკეულ კორესპონდენტებს მოჰყავთ ცნობები პარტიზანული რაზმების აქტიურობაზე ჩრდილო ჩინეთში, მაგალითად, 100 მეომრისაგან შემდგარი რაზმი 30 აგვისტოს თავს დაესხა იაპონიის ჯარის მიერ დაკავებულ შახეჩენის სადგურს, ბეიპინ-სუიუანის რკინიგზაზე, მეორე რაზმი, დომეი ცუსინის სააგენტოს ბეიპინელი კორესპონდენტის სიტყვით, იმავე დღეს დაესხა თავს მონასტერს ვანშოუშანის მახლობლად (ბეიპინის დასავლეთით).

იაპონიის სიძნელენი მანჯოუგოში

ლონდონი, 1 სექტემბერი (საქდესი). „მანჩესტერ გარდიანი" აღნიშნავს, რომ იაპონია განიცდის უდიდეს სიძნელეებს მანჯოუგოში. თუმცა იაპონიის ხელისუფალნი სიფრთხილის ყოველგვარ ზომებს ღებულობენ, რათა დაფარონ ფაქტები, მაგრამ, ცნობილია, სწერს გაზეთი, რომ მუკდენის მახლობლად აჯანყდა მანჯურიის ჯარის 2 ათასეული. ადგილი ჰქონდა აგრეთვე მღელვარებას ჟეხეს პროვინციის ჯარში, სადაც მოჰკლეს 2 იაპონელი გენერალი, ამასთან ერთი მათგანი მისივე ჯარისკაცებმა მოჰკლეს.

ამერიკელები სიმპატიით ეკიდებიან ჩინეთს

ნიუ-იორკი, 31 აგვისტო (საქდესი). საგაზეთო ტრესტ „სკრიპს-ჰოვარდის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი კლეპერი კომენტარიებს უკეთებს შორეულ აღმოსავლეთში არსებულ მდგომარეობას. იაპონიის მოქმედება, სწერს კლეპერი, არ იწვევს თანაგრძნობას შეერთებულ შტატებში. ამერიკელთა უმეტესობა იმ აზრისაა, რომ იაპონელთა მეთოდები დანაშაულებრივია, ამერიკელები სიმპატიით ეკიდებიან ჩინეთს.

მუშათა კონფლიქტების ზრდა იაპონიაში

ტოკიო, 1 სექტემბერი (საქდესი). შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობებით, მუშათა კონფლიქტების რიცხვი 1937 წ. პირველ ნახევარში უპრეცედენტოა იაპონიის მუშათა მოძრაობის ისტორიაში, სახელდობრ: 1455 კონფლიქტი, ნაცვლად 876 კონფლიქტისა 1936 წლის პირველ ნახევარში. მუშათა კონფლიქტების მონაწილეთა რიცხვი შეადგენს 181 ათასს, რაც აგრეთვე სარეკორდოა მუშათა კონფლიქტებისათვის. დღემდე კონფლიქტთა და მათი მონაწილეთა სარეკორდო რიცხვი მოგვცა 1931 წლის პირველმა ნახევარმა, როდესაც აღრიცხული იყო 1.079 კონფლიქტი 84 ათასი მონაწილით. სამინისტრო განსაკუთრებულად აღნიშნავს, რომ კონფლიქტების უმეტესობა 1937 წლის პირველ ნახევარში გამოწვეული იყო მუშათა მოთხოვნებით ხელფასის მომატების შესახებ, რაც გვიჩვენებს მუშათა მოძრაობის შეტევითს ხასიათს იაპონიაში.

ესპანეთის ფრონტებზე

სურათზე: ვალენსიის შეიარაღებული ძალების სარდალი გენერალი პასასი რესპუბლიკური არმიის ნაწილების მეთაურთა შორის.

ფოტო „სოიუზფოტო"

„ანტ-25"-ის ეკიპაჟის ამხ. გრომოვის, იუმაშევისა და დანილინის დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

მოსკოვი — ჩრდილოეთის პოლუსი—ამერიკის შეერთებული შტატების მარშრუტით გმირული ძირდაუშვებელი გადაფრენის განხორციელებისა და პირდაპირი ხაზით შორგაფრენის ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარებისათვის, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაჯილდოებულ იქნას წითელი დროშის ორდენით საბჭოთა კავშირის გმირი **მ. მ. გრომოვი**—„ანტ-25"-ის ეკიპაჟის მეთაური.
2. მიენიჭოთ საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება **ა. ბ. იუმაშევს** — მეორე პილოტს, **ს. ა. დანილინს**—შტურმანს.
3. მიეცეთ ერთდროული ფულადი ჯილდო გადაფრენის მონაწილეებს: **მ. მ. გრომოვს, ა. ბ. იუმაშევსა** და **ს. ა. დანილინს**—30 ათასი მანეთი თვითეულს.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1937 წლის 1 სექტემბერი.

◆

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობა

მოსკოვი, 1 სექტემბერი (საქდესი). 30 აგვისტოს, 22 საათზე, საბჭოთა თბომავალი „ტიმირიაზევი", რომელიც ინგლისის ნავსადგურ კარდიფიდან პორტ-საიდში მიდიოდა, ჩაძირულ იქნა ორი ტორპედით 120 კილომეტრის მანძილზე ალჟირიდან აღმოსავლეთით. ეკიპაჟი გადარჩა ორი კანჯოს საშუალებით, რომლებიც ბუქსირით წაიყვანეს ადგილობრივმა მეთევზეებმა და 31 აგვისტოს დილის 2 საათზე მიიყვანეს დელისის ნავსადგურში. „ტიმირიაზევის" კაპიტანმა რინდიუკმა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას პარიზში რადიოდეპეშით აცნობა თბომავლის დაღუპვა წყალქვეშა ნავის თავდასხმის გამო, აგრეთვე მთელი ეკიპაჟის გადარჩენა, და სთხოვა გადაეცათ ეს ცნობა მოსკოვში.

ბანდიტიზმის უმაგალითო აქტი, მოხდენილი ფაშისტების მიერ სსრ კავშირის სავაჭრო ფლოტის გემის მიმართ, რომელიც კომერციული ტვირთით მიდიოდა ინგლისიდან პორტ-საიდში, გამოიწვევს სსრ კავშირის მოქალაქეთა და მთელი მსოფლიოს პატიოსან ადამიანთა უდიდეს გულისწყრომას. საბჭოთა მთავრობა აწარმოებს ამ საზიზღარი დანაშაულის ყველა გარემოების გამოძიებას სათანადო გადაწყვეტილებათა მისაღებად.

○ ○ ○

თვითმფრინავ „ნ-209"-ის საძებნელად

ამხ. შეველიოვის საჰაერო ექსპედიცია გაფრინდა რუდოლფის კუნძულზე

მოსკოვი, 2 სექტემბერი (საქდესი). ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოში მიღებულია რადიოგრამა, რომ საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. შეველიოვის საჰაერო ექსპედიცია გაფრინდა ამდერმიდან.

2 სექტემბერს 8 საათსა და 15 წუთზე პირველად აფრინდა საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ვოდოპიანოვის თვითმფრინავი „ნ-170". შემდეგ აფრინდნენ საბჭოთა კავშირის გმირების ამხ. მოლოკოვისა და ალექსეევის თვითმფრინავები. 8 საათსა და 18 წუთზე თვითმფრინავთა რგოლმა აიღო კურსი რუდოლფის კუნძულისაკენ.

ამხ. შეველიოვის საჰაერო ექსპედიცია მიფრინდა სურვილის კონცხზე

მოსკოვი, 2 სექტემბერი (საქდესი). გუშინ საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. შეველიოვის ექსპედიციის თვითმფრინავთა ამდერმიდან გაფრენის შემდეგ, მოსკოვში ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს უფროსის ამხ. ო. ი. შმიდტის სახელზე მიღებულია შემდეგი რადიოგრამები:

თვითმფრინავი „ნ—170". 11 საათი და 20 წუთი. გავიარეთ მატოჩკინის შარი. მივფრინავთ ღრუბლების ქვეშ. სიმაღლე 400 მეტრი.

სპირინი.

თვითმფრინავი „ნ—170". 12 საათი და 06 წუთი. მივუახლოვდით კრაშენიკოვის ნახევარკუნძულს. ახალ მიწაზე ღრუბლიანობაა. ზღვარია განმუხტვა წვიმისა და თოვლის გამო. ღრუბლებში გზის გაკაფვისას თვითმფრინავები შეიყინენ. პირი ვიბრუნეთ ჩრდილოეთისაკენ. შევეცდებით გზა გავიკვლიოთ რუდოლფის კუნძულისაკენ. ახალ მიწას გავიარეთ ღრუბლების ქვეშ.

სპირინი.

თვითმფრინავი „ნ—170". 12 საათი და 50 წუთი. ახალი მიწის ჩრდილო ნაპირისაკენ გზის გაკვლევა შეუძლებელია. ავიღეთ კურსი სურვილის კონცხისაკენ. მივფრინავთ დაბლა მთების თავზე. ძალზე გვანჯღრევს. გზას მივიკვლევთ კარის ზღვის ნაპირისაკენ, საიდანაც გავსწევთ სურვილის კონცხისაკენ.

სპირინი.

თვითმფრინავი „ნ—170". 13 საათი და 05 წუთი. გამოვედით ახალი მიწის აღმოსავლეთ ნაპირთან. მივფრინავთ სურვილის კონცხის ნაპირების ახლოს.

სპირინი.

თვითმფრინავი „ნ—170". სურვილის კონცხზე ნისლია. მივფრინავთ 50 მეტრის სიმაღლეზე. თოვს.

სპირინი.

თვითმფრინავი „ნ—170". სურვილის კონცხი ნიკიტინს. მოვდივართ თქვენთან დასაშვებად. მოამზადეთ აეროდრომი.

შეველიოვი.

თვითმფრინავი „ნ—170". ვიმყოფებით ხუთი წუთის სავალზე სურვილის კონცხიდან. სიმაღლე 200 მეტრი.

სპირინი.

სურვილის კონცხი. თვითმფრინავები მშვიდობიანად დაეშვნენ სურვილის კონცხზე 15 საათსა და 25 წუთზე.

პოლარული სადგურის უფროსი

ნიკიტინი.

მფრინავი გრაციანსკი დაბრუნდა ამბარჩიკის ბუხტში

მოსკოვი, 2 სექტემბერი (საქდესი). ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს ცნობით, გუშინ მფრინავი ამხ. გრაციანსკი ამბარჩიკის ბუხტიდან გაფრინდა შმიდტის კონცხზე. გზაში, აიონის კუნძულის მახლობლად, ამხ. გრაციანსკის თვითმფრინავი მოხვდა ძლიერ ნისლში. მფრინავი მშვიდობიანად დაბრუნდა ამბარჩიკის ბუხტში. ამხ. გრაციანსკი რადიოთი გადმოგვცემს, რომ განზრახული აქვს სექტემბერს კვლავ გაფრინდეს შმიდტის კონცხზე.

ესპანეთის ფრონტებზე

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტზე გრძელდება რესპუბლიკური ჯარის აქტიური ოპერაციები. 1 სექტემბერს რესპუბლიკელებმა დაიკავეს მთელი რიგი ახალი პუნქტები და მიუახლოვდნენ ბელჩიტეს განაპირა მხარეს (სარაგოსის სამხრეთ-აღმოსავლეთით). მადრიდის ჩრდილოეთით მეამბოხეთა შემოტევის გამო რესპუბლიკელები იძულებული იყვნენ რამდენადმე უკან დაეხიათ.

სამხრეთის ფრონტზე, პოსობლანკოს რაიონში, უკანასკნელი ოპერაციის დროს რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს ორი ტანკსაწინააღმდეგო იარაღი და ბევრი ტყვიამფრქვევი. გრენადის სამხრეთით მეამბოხეებმა დაიკავეს კორტიხო მაგრამ რესპუბლიკელებმა, გადავიდნენ რა გადამწყვეტ კონტრიერიშზე, განდევნეს მეამბოხეთა ჯარი მაღლობიდან, რომელიც ამ პოზიციას დაჰყურებს (საქდესი).

მადრიდის ბომბარდირების მსხვერპლნი

პარიზი, 1 სექტემბერი (საქდესი). ჰავასის სააგენტო ვალენსიიდან იუწყება, რომ 1936 წლის 28 ივლისიდან 1937 წლის 31 ივლისამდე მადრიდში მეამბოხეების მიერ მოხდენილ ბარბაროსულ საარტილერიო და საჰაერო ბომბარდირებათა შედეგად მოკლულია და დაჭრილი 7 ათასამდე კაცი, მეტწილად ქალები და ბავშვები. მოკლულია 1.294 კაცი, დაჭრილია 5.703.

„ვაშინგტონ პოსტი" საბჭოთა კავშირ-ჩინეთის თავდაუსხმელობის პაქტის შესახებ

ნიუ-იორკი, 31 აგვისტო (საქდესი). გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" კომენტარიებს უკეთებს სსრ კავშირსა და ჩინეთს შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადებას. „საბჭოთა მთავრობა, — სწერს „ვაშინგტონ პოსტი", — ბრძნულად მოქმედობს, მიემხრო რა იმ სახელმწიფოებს, რომელთაც სურთ ხელი შეუშალონ იაპონია-ჩინეთის კონფლიქტის გავრცელებას, მაგრამ რომელთაც იმავე დროს არ სურთ, რომ კონფლიქტისათვის პასუხისმგებელმა ქვეყანამ მიიღოს რაიმე სარგებლობა ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულებისა და სხვა ხელშეკრულებათა დარღვევის შედეგად. მოსკოვმა დაარწმუნა ნანკინი მეგობრობაში. საბჭოთა კავშირმა ეს მოიმოქმედა იმგვარად, რომ ამის წინააღმდეგ ვერ გაილაშქრებს ვერცერთი ქვეყანა, თუ იგი არ არის ფაქტიური ან პოტენციური აგრესორი".

○ ○ ○

მცირე ანტანტის საბჭოს კომუნიკე

ბუქარესტი, 1 სექტემბერი (საქდესი). გუშინ დაიხურა მცირე ანტანტის მუდმივი საბჭოს სესია (ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის და სამხრეთსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია). გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღნიშნულია ამ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხედულებათა სრული ერთიანობა სესიაზე განხილულ ყველა საკითხში და თანხმობა შემდეგშიც განაგრძონ მცირე ანტანტის საქმიანობა სამივე ქვეყნის საერთო ინტერესებისათვის. შემდეგ მცირე ანტანტის საბჭო გამოსთქვამს მტკიცე გადაწყვეტილებას მომავალშიც განაგრძოს აქტიური თანამშრომლობა ერთა ლიგასთან.

ესპანეთის საკითხზე კომუნიკეში ნათქვამია, რომ მცირე ანტანტის სახელმწიფოები მტკიცედ დაიცავენ ჩაურევლობის პოლიტიკას და განაგრძობენ კონტროლის ორგანიზაციის ხელშეწყობის პოლიტიკას.

○ ○ ○

პოლონეთის მთავრობის ცნობა გლეხთა გაფიცვის შესახებ

ვარშავა, 31 აგვისტო (საქდესი). გამოქვეყნებულია პრემიერ სლავოი-სკლადკოვსკის მიერ ხელმოწერილი მთავრობის ცნობა გლეხთა უკანასკნელ მღელვარებათა შესახებ პოლონეთში. იგი სავსებით ადასტურებს უცხოეთის პრესის ცნობებს ხელისუფალთათვის აქტიური წინააღმდეგობის შესახებ, რაც გლეხებმა გაუწიეს მთელ რიგ სავოევოდოებში გლეხთა 10-დღიანი გაფიცვის დროს, აგრეთვე ცნობებს გლეხთა მასობრივად დახვრეტის შესახებ საპოლიციო დამსჯელი რაზმების მიერ.

„ბანდები, — ნათქვამია ცნობაში, — რომლებსაც ხელმძღვანელობენ „სტრონიცტვო ლუდოვეს" პარტიის წევრები, ცდილობდნენ გამოეწვიათ აჯანყებანი და მოახდინეს ძალადობისა და სისხლის სამართლის დანაშაულთა მთელი რიგი აქტები, ისინი ბარიკადებს აკეთებდნენ გზებზე, ცეცხლს უკიდებდნენ შენობებს, სწყვეტდნენ სატელეგრაფო კავშირსა და ცდილობდნენ ხიდების დანგრევას. შეიარაღებულმა ბანდებმა პოლიციის რაზმებზე თავდასხმაც კი დაიწყეს". ცნობა აღიარებს, რომ პოლიციელთა რაზმებმა სროლა აუტეხეს გლეხებს „ბათქით" მშვიდობიანობისა და წესრიგის დაცვის სასარგებლოდ, მოჰკლეს 41 და დასჭრეს 34 კაცი. დაჭრილთა რაოდენობა სრული არ არის, რამდენადაც მრავალი დაჭრილი გლეხი აქამდე იმალება ტყეებსა და განმარტოებულ ქოხმახებში, ეშინიანთ რა პასუხისგებაში მიცემისა.

ცნობაში აღნიშნულია, რომ გლეხთა მღელვარება მხოლოდ პოლონეთის ცენტრალურ ნაწილს მოედო, და რომ ყველაზე აქტიური მონაწილეობა მასში მიიღო მცირემიწაწყლიანმა, ღარიბმა გლეხობამ.

დასასრულ ცნობა ხაზს უსვამს, რომ გლეხთა მღელვარებანი „ვერ იქონიებენ გავლენას მთავრობის შემდგომ მოქმედებაზე", და მთავრობის საწინააღმდეგო გლეხთა გამოსვლების მონაწილეთ, განსაკუთრებით კი მათ ხელმძღვანელებს, ახალი სასტიკი სასჯელით ემუქრება.

○ ● ○

რეპრესიები გლეხური პარტიის წინააღმდეგ პოლონეთში

ვარშავა, 31 აგვისტო (საქდესი). გაზეთი „ვეჩურ ვარშავსკი" იუწყება, რომ 29 აგვისტოს კრაკოვში გულმოდგინედ გაჩხრიკეს გლეხური პარტიის „სტრონიცტვო ლიუდოვეს" ორგანოს — ჟურნალ —„პიასტის" რედაქცია. პოლიციამ დალუქა „პიასტის" რედაქციის და გამომცემლობის შენობა, იმავდროულად პოლიციამ დალუქა პარტია „სტრონიცტვო ლუდოვეს" კუთვნილი სახალხო სახლი კრაკოვში და შენობა „გლეხური ახალგაზრდობის კავშირისა", რომელიც ემხრობა პარტია „სტრონიცტვო ლიუდოვეს".

○ ○ ○

საფრანგეთის „რკინიგზათა ნაციონალური საზოგადოება"

პარიზი, 1 სექტემბერი (საქდესი), მთავრობამ დაამტკიცა შეთანხმება, რომელიც, მისი დავალებით, მიღწეულია საზოგადო სამუშაოთა მინისტრის მიერ საფრანგეთის სარკინიგზო კომპანიებთან. მთავრობამ დაამტკიცა პროექტი „რკინიგზათა ნაციონალური საზოგადოების" შესაქმნელად, რაც გააერთიანებს საფრანგეთის ყველა რკინიგზას. მთელი რკინიგზების მართვა-გამგეობა 1938 წლის იანვრიდან გადადის ამ საზოგადოების ხელში.

დღეს „ჟურნალ ოფისიელში" გამოქვეყნებულია დეკრეტი, რომელიც უნდა დაამტკიცოს დეპუტატთა პალატამ, და რომელიც ნებას რთავს ფინანსთა მინისტრს აიღოს ხაზინის ხარჯით უცხოეთის ბაზრებზე სესხები იმ სესხთა დაფარვისა, კონსოლიდაციისა, ან კონვერსიისათვის, რაც სახელმწიფოს უკვე აღებული აქვს საზღვარგარეთ სხვადასხვა საზოგადოებათა თუ დიდ სარკინიგზო კომპანიებისგან.

საბჭოთა კავშირში

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ. სამიის დეპეშა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობის დროებით ამსრულებელს ამხ. პოტიომკინს

მოსკოვი, 1 სექტემბერი (საქდესი). საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობის დროებით ამსრულებელმა ამხ. პოტიომკინმა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ. სამიისგან სადგურ ნეგორელოედან მიიღო დეპეშა, რომელშიც ბ. სამიი ფრიად გულითად მადლობას გამოსთქვამს იმ გულთბილი მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის, რომლითაც მას შეხვდნენ მოსკოვში.

პ. კრივონოსის და ა. ოგნევის შეჯიბრება

მოსკოვი, 1 სექტემბერი (საქდესი). ტულის დეპოს უფროსმა ა. ოგნევმა სლავიანსკის დეპოს უფროსისაგან პ. კრივონოსისაგან მიიღო წერილი, რომელშიც იგი სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევს ტრანსპორტის ახალგაზრდა მეთაურებს ამხანაგებს ოგნევს, ბოგდანოვს, ზაკოკოს და ბაბაიცევს.

პეტრე კრივონოსი სწერს:

„ჩვენ, სტახანოველთა პირველ გაწვევას ხელმძღვანელ სამუშაოზე, დიდი ნდობა გამოგვიცხადეს. ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ პარტიას, რომ ამ ნდობას სავსებით გავამართლებთ".

ოგნევმა მიიღო გამოწვევა და კრივონოსს გაუგზავნა საპასუხო წერილი, რომელშიც ვალდებულებას კისრულობს 15 ოქტომბრისათვის სანიმუშო მდგომარეობაში მოიყვანოს დეპოს მთელი საორთქლმავლო პარკი, აიყვანოს თვითეული ორთქლმავლის გარბენა 11 ათას კილომეტრამდე თვეში.

გაზეთი „ინდუსტრია"

მოსკოვი, 1 სექტემბერი (საქდესი). მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ორგანოს — გაზეთს „ზა ინდუსტრიალიზაციუ" ამიერიდან ერქმევა „ინდუსტრია".

მანქანათმშენებლობის მრეწველობის სახალხო კომისარიატი და თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარიატი თავის ყოველდღიურ გაზეთს აწყობენ გაზეთ „ტექნიკის" ბაზაზე.

გაზეთ „ტექნიკის" გამოშვება სწყდება.

იაპონია და გერმანია

ლონდონი, 28 აგვისტო (საქდესი). „ტაიმსის" ბერლინელი კორესპონდენტის ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ გერმანული პრესა პროიაპონურ პოზიციაზე დგას, არის საფუძვლები ვიფიქროთ, რომ ოფიციალური წრეები ბერლინში სულაც არ არიან აღფრთოვანებულნი იაპონიის ომით ჩინეთში. გერმანიის მთავრობამ, სწერს კორესპონდენტი, აცნობა იაპონიის მთავრობას, თავისი შეშფოთების შესახებ.

შემდეგ კორესპონდენტი სწერს, რომ, როგორც ჰფიქრობენ, იაპონიამ თავის პასუხში მოიხსენია შეთანხმება გერმანია-იაპონიას შორის კომინტერნის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ მას უფლება აქვს უფრო მნიშვნელოვანი დახმარება მიიღოს გერმანიისაგან. კორესპონდენტის სიტყვით, იაპონია-გერმანიის შეთანხმება არ შეიცავს გერმანიის ვალდებულებას დაეხმაროს იაპონიას იაპონია-ჩინეთის კონფლიქტის შემთხვევაში. მიუხედავად ამისა ეს შეთანხმება, კორესპონდენტის აზრით, რჩება დაბრკოლებად გერმანიის საერთო მოქმედებისათვის სხვა ქვეყნებთან გერმანიის ინტერესების დასაცავად შანხაიში.

◆

ნიურნბერგში გერმანელ ფაშისტთა შეკრების წინ

ბერლინი, 1 სექტემბერი (საქდესი). ფაშისტთა ყრილობა ნიურნბერგში იხსნება 6 სექტემბერს. ყრილობის პროგრამა ითვალისწინებს ყოველგვარ სამხედრო მსვლელობას და პარადებს. ყრილობის განმავლობაში ნიურნბერგს წავა და იქიდან დაბრუნდება 1.200-ზე მეტი სპეციალური მატარებელი, ამათში 50-მდე სამხედრო ეშელონი. ეს ციფრები მოწმობენ რკინიგზის ტრანსპორტის დასახული საცდელი მობილიზაციის დიდ მასშტაბს.



ნიჟნი ტაგილის მეტალურგულ ქარხანაში (სვერდლოვის ოლქი) გაშლილია მთელ რიგ ახალ საამქროების მშენებლობა. ამ დღეებში ამუშავდება საბანდაჟო საამქრო. სურათზე: ასამუშავებლად მზა დაზგა საბანდაჟო საამქროში.

„სოიუზფოტო"

ახალგაზრდობის XXIII საერთაშორისო დღე

ისტორიული ცნობა

1915 წლის აპრილში ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაციის ბერნის კონფერენციაზე გადასწყდა ყოველწლიურად აღენიშნათ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, როგორც სისხლისმღვრელი იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ პროტესტის დღე.

ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა გახურებული იმპერიალისტური ომის დროს და გამოხატავდა რევოლუციური ახალგაზრდობის მისწრაფებას საერთაშორისო გაერთიანებისაკენ ბურჟუაზიული მთავრობების მტაცებლური პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად; ამ მთავრობებს მხარს უჭერდა მეორე ინტერნაციონალი, რომელმაც სამარცხვინოდ უღალატა მუშათა კლასის საქმეს. მხოლოდ ბოლშევიკთა პარტია ლენინისა და სტალინის მეთაურობით ეწეოდა თანმიმდევრულ შეურიგებელ რევოლუციურ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის.

ვ. ი. ლენინი მუშათა ახალგაზრდობას განუმარტავდა, რომ საკმარისი არ არის მხოლოდ პროტესტები ომის წინააღმდეგ. საჭიროა აქტიური ბრძოლა იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის.

ბერნის კონფერენციამ მიიღო პაციფისტური ლოზუნგი „ომის დაუყოვნებლივ დამთავრების" შესახებ. კონფერენციამ არ გამოამჟღავნა იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის ნამდვილი დამნაშავენი. მან არ გაილაშქრა რეფორმიზმისა და სოციალდემოკრატების წინააღმდეგ, რომლებმაც გასცეს მუშათა კლასი. ბერნში ახალგაზრდობის ახლადშექმნილი ინტერნაციონალი ატარებდა სოციალშემთანხმებელთა ზეგავლენის აშკარად გამოხატულ ნიშანს. ომის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის ნაცვლად — კონფერენციამ წამოაყენა „განიარაღების" ლოზუნგი, ნაცვლად იმისა, რომ გაბედულად გაეწყვიტა კავშირი სოციალ-შოვინიზმთან — იგი დაკმაყოფილდა პროტესტის მორიდებული სიტყვებით. ბერნის კონფერენცია, ლენინის შეფასებით, უკეთეს შემთხვევაში იყო „ნაბიჯი ერთსადაიმავე ადგილას".

ახალგაზრდობის პირველი საერთაშორისო დღე ჩატარდა 1915 წლის 3 ოქტომბერს. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეები 1915-1916 წლებში კიდევ აშკარად ატარებდა ბერნის კონფერენციის პაციფისტურ გადაწყვეტილებათა დაღს.

მთელ რიგ დემონსტრაციებში, რომლებიც 1915 წელს ხდებოდა ევროპისა და ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანაში, ქუჩაში გამოვიდა 100 ათასზე მეტი ახალგაზრდობა. ახალგაზრდობის მეორე საერთაშორისო დღეს დემონსტრაციები, მასობრივი კრებები და მიტინგები მოეწყო იტალიისა, გერმანიისა, ავსტრია-უნგრეთისა, ჰოლანდიისა, ნორვეგიისა, დანიისა, შვეიცარიისა, ამერიკასა და სხვა ქვეყნებში.

ბოლშევიკები თანმიმდევრულად იბრძოდნენ იმისათვის, რომ თვალები აეხილათ მუშა-ახალგაზრდობისათვის, რომ იგი გამოეგლიჯათ სოციალ-შოვინიზმის გავლენისაგან. ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით გროვდებოდნენ და ირაზმებოდნენ მუშა-ახალგაზრდობის ძალები. 1917 წლის აგვისტოში შესდგა ბოლშევიკური პარტიის მეექვსე ყრილობის სხდომა, რომელმაც პარტიას მიზნად დაუსახა შეიარაღებული აჯანყება, დიდი სოციალისტური რევოლუციის საბრძოლო მომზადება. მოსკოვის, ლენინგრადისა და ჩვენი ქვეყნის სხვა პროლეტარული ცენტრების ახალგაზრდობა გამოვიდა ქუჩაში ახალგაზრდობის მესამე საერთაშორისო დღის ჩასატარებლად, იგი ქუჩაში გამოვიდა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით წითელი დროშებითა და ლოზუნგებით: „ძირს ომი!", „ძირს დროებითი მთავრობა!", „გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას!", „გაუმარჯოს საბჭოებს!".

ოცი წლის წინათ, ატარებდა რა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს, ჩვენმა ახალგაზრდობამ ცხადჰყო ერთგულება ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბელადებისადმი — ლენინისა და სტალინისადმი.

1918 წელს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე ჩატარდა დიდი ოქტომბრის გამარჯვების ნიშნით. ძლევამოსილმა დიდმა პროლეტარულმა რევოლუციამ რუსეთში, რევოლუციებმა გერმანიასა, უნგრეთსა, ფინეთსა და ავსტრიაში, რევოლუციური მოძრაობის აზვირთებულმა ძლიერმა ტალღამ მთელს ევროპაში — ყოველივე ამან გამოიწვია ახალგაზრდობის უდიდესი რევოლუციური აღმავლობა. ახალგაზრდობა ირაზმებოდა ბოლშევიკური პარტიის დროშის ქვეშ. იზრდებოდა უკმაყოფილება ახალგაზრდობის ბერნის საერთაშორისო ბიუროსადმი. 1918 წელს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში მასობრივი დემონსტრაციები გაიმართა ინტერვენტებისაგან საბჭოთა რესპუბლიკის დაცვის ლოზუნგით. ახალგაზრდა პროლეტარებმა მოითხოვეს ახალგაზრდობის რევოლუციური ინტერნაციონალის შექმნა.

რუსეთის კომკავშირმა თავისი ჩასახვის პირველდღიდანვე ლენინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დასახა ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსების ამოცანა. ეს საკითხი დასმულ იქნა კომინტერნის აღმასკომის წინაშე. 1919 წლის მაისში კომინტერნის აღმასკომმა მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობას მიმართა მოწოდებით ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნის შესახებ. მთელი საორგანიზაციო - პოლიტიკური მოსამზადებელი მუშაობა (დღის წესრიგი, პროგრამის პროექტი და სხვ.) იკისრა და განახორციელა რუსეთის კომკავშირმა.

ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის პირველმა კონგრესმა (1919 წლის ნოემბერი) დააგვირგვინა ლენინისა და ბოლშევიკების ბრძოლა ახალგაზრდობის დამოუკიდებელი თანმიმდევრული რევოლუციური საერთაშორისო გაერთიანებისათვის.

სწორედ ამ მომენტიდან ახალგაზრდობის საერთაშორისო [illegible] ლობს სოციალ-[illegible] ნისაგან მუშა-ახალგაზრდობის განთავისუფლებისათვის რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის დემონსტრაციის აშკარა გამოხატულ ხასიათს.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე ტარდება როგორც იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლის დღე, როგორც სსრ კავშირის — მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლის დღე.

ახალგაზრდობის მე-23 საერთაშორისო დღეს ახალგაზრდობის უფართოესი მასები კაპიტალისტურ ქვეყნებში მოახდენენ დემონსტრაციებს კომუნისტური და სოციალისტური ახალგაზრდობის ერთიანობისა და საერთო ძალღონით გაერთიანებულ მოქმედების ლოზუნგით, რათა იბრძოლონ ფაშიზმის წინააღმდეგ, მშვიდობიანობისათვის, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინააღმდეგ, ახალი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, რომელსაც ფაშისტური სახელმწიფოები ამზადებენ. მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობა ახალგაზრდობის მე-23 საერთაშორისო დღეს ცხადჰყოფს თავის ძმურ სოლიდარობას ფაშიზმის წინააღმდეგ გმირულად მებრძოლ რესპუბლიკურ ესპანეთთან და ჩინეთის ხალხთან.

„შორს გერმანიისა და იტალიის ფაშისტების სისხლიანი ყაჩაღური თათები ესპანეთის რესპუბლიკისაგან!", „ძირს იაპონიის იმპერიალისტური მტაცებლური ომი ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ!" — აი მსოფლიოს მთელი ახალგაზრდობის მოთხოვნა.

ანტიფაშისტური დემოკრატიული ახალგაზრდობის ავანგარდში მიდის საბჭოთა ახალგაზრდობა. ჩვენი ახალი თაობის რისხვა და სიძულვილი ფაშიზმის ტროცკისტულ - ბუხარინულ ჯაშუშური ავანტურისადმი, მოწოდება სიფხიზლისაკენ აღიბეჭდება სსრ კავშირის ახალგაზრდობის ლოზუნგებში, რომლითაც ქუჩაში გამოვა თავისი საბრძოლო რევოლუციური დღესასწაულის დღეს.

ახალგაზრდობის მე-23 საერთაშორისო დღეს საბჭოთა ახალგაზრდობა იდღესასწაულებს, იამაყებს რა სოციალიზმის უდიდესი მონაპოვრებით, რომლებიც ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში — მსოფლიოს ყველაზე უფრო დემოკრატიულ კონსტიტუციაში.

ახალგაზრდობის მე-23 საერთაშორისო დღეს საბჭოთა ახალგაზრდობა გამოვა ქუჩებში, რომ ცხადჰყოს თავისი სიყვარული და უსაზღვრო ერთგულება ხალხის ბელადის ამხანაგ სტალინისადმი, თავისი ერთგულება ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, თავისი მზადყოფნა მოახმაროს მთელი ძალღონე სამშობლოს, სოციალიზმის ყველა მონაპოვარის დაცვას, კომუნიზმის გამარჯვებას. საბჭოების ქვეყნის ბედნიერი ახალი თაობა ქებადიდებას შეასხამს ავიაციის გმირებს — ჩვენი ქვეყნის ამაყ შევარდნებს, სტახანოველებს, მრეწველობის, ტრანსპორტის, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისა და სოციალისტური მიწათმოქმედების შრომის გმირებს.

ახალგაზრდობის მე-23 საერთაშორისო დღეს ახალგაზრდა ბედნიერ თაობასთან ერთად იდღესასწაულებს საბჭოთა მთელი ქვეყანა.

აღვკვეთოთ არაპარტიული დამოკიდებულება პარტისტორიის შესწავლისადმი

სიღნაღი, 2 სექტემბერი (საქდესი). საქ. კ.პ.(ბ) სიღნაღის რაიკომის ყოფილი მდივანი, ხალხის უბოროტესი მტრები წითლიძე და მისი დამქაშები ხელოვნურად ფუშავდნენ რაიონის პარტგანათლების ქსელში ბოლშევიზმის დაუფლების საქმეს.

ამ არამზადებს პროპაგანდისტებად დაყენებული ჰყავდათ საზიზღარი ტროცკისტები, რომლებიც ამახინჯებდნენ პარტისტორიის სწავლებას.

სოფ. ბოდბის კოლმეურნეობის პირველადს პარტორგანიზაციაში პარტისტორიის წრის პროპაგანდისტად იყო ტროცკისტი თოფურია. იგი მოუმზადებელი ცხადდებოდა მეცადინეობაზე, ეწეოდა ტროცკისტულ ლაყბობას და უხეშად ეპყრობოდა მსმენელებს.

ასევე იქცეოდა შირაქის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციასთან არსებული პარტისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი ტროცკისტი ქაჯაია.

პროპაგანდისტები ნასარიძე და ბაბილაშვილი წელიწადია მუშაობენ პროპაგანდისტებად და რაიკომს დღემდე დამტკიცებული არ ჰყავდა.

სოფ. ნუკრიანის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციასთან არსებულ პარტისტორიის შემსწავლელ წრეში პროპაგანდისტი ყოჩიაშვილი სისტემატურად აცდენდა მეცადინეობას.

რაიონის პროპაგანდისტები მეცადინეობის პროცესში არ იყენებდნენ დიაგრამებს, რუკებს და მხატვრულ ლიტერატურას. პროპაგანდისტი ცისკარაშვილი პარტისტორიაში მარტო კნორინის სახელმძღვანელოთი კმაყოფილდებოდა და სრულებით არ იყენებდა მარქსიზმის კლასიკოსების ნაშრომებს.

ადგილი ჰქონდა პროპაგანდისტების ცვალებადობას; ქვემო-მაჩხაანის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციასთან არსებულ პარტისტორიის შემსწავლელ წრეში მიმდინარე წელს 4-ჯერ შეიცვალა პროპაგანდისტი. (პროპაგანდისტი ნასარიძე შესცვალა ახვლედიანმა, ახვლედიანი ბაბილაშვილმა და ბაბილაშვილი ისევ ნასარიძემ).

ამგვარად რაიონში პარტისტორიის სწავლება ჩაშლილი იყო ხალხის მტრების, წითლიძისა და მისი დამქაშების ბნელი საქმიანობის შედეგად.

პარტრაიკომის ახალი ხელმძღვანელობა შეუდგა პარტისტორიის სწავლების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას, მაგრამ ამ მხრივ რაიონში ჯერ კიდევ ცუდი მდგომარეობაა.

წნორის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის პარტორგანიზაციის პარტისტორიის წრეში პირველი ივლისის შემდეგ მეცადინეობა არ ჩატარებულა. პროპაგანდისტი ათანაშვილი მეცადინეობის ჩაშლის მიზეზად მოსავლის აღებას ასახელებს და ამას რაიკომის თანამშრომელი ჭელიძე (ყოფილი კულტპროპი) უდასტურებს.

რაიონის პარტგანათლების ქსელში არსად არ დამუშავებულა რსდმპ (ბოლშევიკების) მე-6 ყრილობის 20 წლისთავი და ამ ყრილობაზე ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენების მნიშვნელობა.

ცუდად მუშაობს პარტკაბინეტი (გამგე ბოძიაშვილი). პარტკაბინეტს დღემდე მოუგვარებელი აქვს პროპაგანდისტებისათვის სისტემატური დახმარების გაწევა. არ ეწყობა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები პროპაგანდისტებისათვის და სხვ.

საქ. კ.პ.(ბ) სიღნაღის რაიკომმა ბოლშევიკურად უნდა მოჰკიდოს ხელი პარტისტორიის სწავლების საქმეს და სასწრაფოდ აღმოფხვრას დღემდე არსებული არაპარტიული დამოკიდებულება პარტისტორიის სწავლებისადმი.

სევ. მოისწრაფიშვილი

საქ. ცაკის ინსტრუქტორი

მეტი ყურადღება უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლას

მალე ორი თვე შესრულდება მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება, რომლის ღრმად შესწავლა ჩვენს გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

ზოგიერთი რაიაღმასკომი და სასოფლო საბჭო დებულების დამუშავება - შესწავლის აშკარა შეუფასებლობას იჩენს. კიდევ მეტი, სასოფლო საბჭოების ზოგიერთმა პასუხისმგებელმა პირებმა არც კი იციან, არსებობს თუ არა ეს დებულება, ან საჭიროა თუ არა მისი დამუშავება-შესწავლა. მაგალითად, გურჯაანის ქალაქის საბჭოს მდივანი ამხ. მარიამ ბოჭორიშვილი ღიმილით აცხადებს, რომ მას ჯერ არც კი წაუკითხავს უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. თუნიაშვილი დებულების ელემენტარულ საკითხებში ვერ ერკვევა. გურჯაანის ქალაქის საბჭოსთან არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ მართალია მოისმინა დებულების შესწავლის საკითხი, მაგრამ მისი ღრმად შესწავლისათვის ჯერ კიდევ არ გადაუდგამს რაიმე პრაქტიკული ნაბიჯი. გურჯაანის ქალაქის საბჭოს კი (თავმჯდომარე —დ. უთიაშვილი) საკითხი უზენაეს საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლის შესახებ სრულიად არ მოუსმენია არც საბჭოს პლენუმსა და პრეზიდიუმზე და არც სექციებსა, სადეპუტატო ჯგუფებსა და კოლმეურნეობებში.

გურჯაანის ქალაქის საბჭოს ასეთი უსულგულო დამოკიდებულება უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლისადმი აიხსნება, მის მიერ აღნიშნული საკითხის სრული შეუფასებლობით და მისი მნიშვნელობის გაუგებლობით.

აღსანიშნავია, რომ გურჯაანის ქალაქის საბჭო თავიდანვე უცხო, მტრული ელემენტებით იყო დანაგვიანებული. მაგრამ მათი გამოაშკარავების შემდეგაც ქალაქის საბჭომ ვერ შესძლო საბჭოს მუშაობის გარდაქმნა, რაც სჩანს თუნდაც იქიდან, რომ მიმდინარე წელს საბჭოს ერთხელაც არ მოუწვევია თავისი პლენუმი.

კაჭრეთის სასოფლო საბჭომ უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება განიხილა საბჭოს პლენუმის 8 აგვისტოს სხდომაზე და შემდეგი დადგენილება გამოიტანა: „მიღებულ იქნეს ცნობათ და სახელმძღვანელოდ"(!).

კარდანახის სასოფლო საბჭოს მდივანს ამხ. მარო ასლიშვილს წარმოდგენაც არა აქვს უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებაზე. იმავე საბჭოს მუშაკებს ქეტა ნიკოლაშვილს და ილო გულაშვილს არც კი გაუგონიათ საკითხი დებულების შესახებ — არც ის იციან, თუ არჩევნებზე რაიმე დებულება არსებობს. პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კომკავშირელ ნიკო ბასილაშვილს კოლმეურნეობის კრებებზე სრულიად არ დაუმუშავებია დებულება და თვითონაც არაფერი იცის ამ საკითხზე. კარდანახის პარტორგანიზაციის პარტორგი გიორგი ყონიაშვილი უპასუხისმგებლოდ აცხადებს, „მე დებულება პარტორგანიზაციაში დავამუშავე, საბჭოს ხაზით კი არ დაგვიმუშავებიაო". თვით გიორგი ყონიაშვილს უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების ელემენტარულ საკითხებზეც არა აქვს სწორი წარმოდგენა.

ჯიმითისა და ძველი გურჯაანის სასოფლო საბჭოებში (თავმჯდომარეები გოგია ხარაზიშვილი, ვასო მანჟაშვილი) უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების დამუშავება-შესწავლა შედარებით კარგად არის დაყენებული, აქ დებულება დაამუშავეს საბჭოების გაფართოებულ პლენუმებზე და პრეზიდიუმის სხდომებზე, ხოლო ამჟამად მისი დამუშავება-შესწავლა სწარმოებს კოლმეურნეობებში.

ძველი გურჯაანის სასოფლო საბჭომ შესძლო შეუკავშირებელ მოსახლეობაშიაც დაემუშავებინა დებულება. ჯიმითის კოლმეურნეობის ბრიგადებში დებულების დამუშავება-შესწავლისათვის ჩამოყალიბებულია წრეები, რომელთა ხელმძღვანელებად გამოყოფილია 11 ამხანაგი, მათ ჩატარებული აქვთ 25 მეცადინეობა. დებულების შემსწავლელი წრე ჩამოყალიბებულია ჯიმითის სასოფლო საბჭოსთანაც.

თბილისის რაიონში შემავალ მცხეთის სასოფლო საბჭოს 18 აგვისტოსათვის დებულების შემსწავლელი წრეები ჯერ კიდევ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული.

ნატახტარის სასოფლო საბჭოს (თავმჯდომარე — დავით შენგელიძე) ჯერ ვერ „მოუცლია" უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა-დამუშავებისათვის. არათუ არ შეუსწავლიათ, არამედ მოხსენებაც კი არსად ჩაუტარებიათ ამ საკითხზე.

კარგად არის დებულების შესწავლის საქმე დიღმის სასოფლო საბჭოში (თავმჯდომარე — მძევაშვილი). აქ ჯერ კიდევ ივლისის მეორე ნახევარში დაუმუშავებიათ ეს საკითხი საბჭოს გაფართოვებულ პლენუმზე, სექტემბერში კი სადეპუტატო ჯგუფებში და კოლმეურნეობებში. სასოფლო საბჭოში და კოლმეურნეობების ბრიგადებში ჩამოყალიბებულია დებულების შემსწავლელი წრეები, რომლებიც სისტემატურად მეცადინეობენ.

აღბულაღის რაიონში უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა-დამუშავება სუსტად მიმდინარეობს. აღბულაღის სასოფლო საბჭოს (თავმჯდომარე კაზზერსიუკი) დებულება თავის პლენუმზე არ დაუმუშავებია. საბჭოში არ არსებობს დებულების შემსწავლელი წრეები.

ჩაშლილია მუშაობა წინწყაროს სასოფლო საბჭოში, წინწყაროს სასოფლო საბჭოს ახალ თავმჯდომარეს ჯერ არც უფიქრია უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების დამუშავება-შესწავლის მოწყობაზე. თვით საბჭოს თავმჯდომარე საკალიძე ვერ ერკვევა დებულების საკითხებში; მან არ იცის, რამდენ დეპუტატს ჰგზავნის საარჩევნო ოლქი, ან როგორ ეწყობა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქი.

ჯორჯიაშვილის სასოფლო საბჭოს (თავმჯდომარე ადამ ჩიგოლაშვილი) უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება დაუმუშავებია კოლმეურნეობებში და სასოფლო საბჭოს გაფართოებულ პლენუმზე, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია როგორი იქნება შესწავლის ხარისხი, თუ გავითვალისწინებთ, რომ თვით წრეების ხელმძღვანელნი — საბჭოს თავმჯდომარე ჩიგოლაშვილი და პატარა ენაგეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლევან აბულაძე — ვერ ერკვევიან დებულების საკითხებში, ერთი-მეორეში ურევენ კავშირისა და ეროვნებათა საბჭოს საარჩევნო ოლქებს, არ იციან ამომრჩეველთა სიებში დაშვებულ შეცდომებზე განცხადებების შეტანის წესები და სხვ.

უზენაესი საბჭოს არჩევნები ახლოვდება, მაგრამ დებულების დამუშავება-შესწავლის საქმეში ჯერ კიდევ მთელი რიგი რაიონები და სასოფლო საბჭოები სამარცხვინოდ ჩამორჩებიან. ზოგიერთ სასოფლო საბჭოს ვერ გაუგია, რომ უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება სოციალისტური ქვეყნის უმნიშვნელოვანეს კანონს წარმოადგენს.

საბჭოთა ორგანოებმა ყოველგვარი ზომა უნდა მიიღონ იმისათვის, რომ თვითეულმა ამომრჩეველმა კარგად იცოდეს საარჩევნო კანონი და თავისი უფლება-მოვალეობანი.

◆

პარტიულ თემაზე

პარტრაიკომის ინსტრუქტორი

(ჯუღელი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

საქ. კ. პ. (ბ) ჯუღელის რაიკომის ინსტრუქტორად ამხ. ა. წასიძე 1933 წლიდან მუშაობს. როგორც კარგ მუშაკს, მას სამჯერ შეუცვალეს ზონა. ამხ. ა. წასიძის სამუშაო ზონაში შედის 9 პირველადი პარტორგანიზაცია, 2 პარტკომკავშირული ჯგუფი და 3 ერთეული კომუნისტი. სულ ინსტრუქტორ წასიძის ზონაში გაერთიანებულია 53 პარტწევრკანდიდატი.

პარტიული კრებების მომზადება, პარტიული სწავლების გაუმჯობესება, კომკავშირის ხელმძღვანელობა • დახმარება, თანამგრძნობებთან მუშაობის გარდაქმნა, კომუნისტების აღზრდა და უპარტიო აქტივთან მუშაობა,—აი საკითხები, რომლებზედაც ინსტრუქტორი ამხ. ა. წასიძე მუშაობს.

ამასწინათ ჩატარებულმა პარტსკოლების შემოწმებამ დაადასტურა, რომ წასიძის ზონის პარტიული ამხანაგები პასუხისმგებლობით ეკიდებიან მარქსისტულ - ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეს, პოლიტსკოლების რამდენიმე მსმენელი წელს გამოყენებულია აგიტატორებად და წამკითხველ-მესაუბრეებად. მაგ. პარტიის წევრები: მ. ჭავჭავაძე, გ. სამხარაძე, ს. მასხარაშვილი და ა. წიქარიშვილი პროპაგანდისტები გახდნენ, ხოლო ვ. ტყემალაძე, ა. ბლიაძე, თ. გაჩეჩილაძე, მ. შველიძე გამოყენებული არიან აგიტატორებად. საკანდიდატო პოლიტსკოლების მსმენელები: პ. ჭანკოტაძე, გ. შველიძე, პ. მახათაძე და პ. მაღლაკელიძე, რადგან ისინი საკმაოდ მოემზადნენ, გადაყვანილ იქნენ პარტისტორიის შემსწავლელ წრეებში.

ამხ. წასიძეს თავის ზონაში სააგიტაციო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობაც კარგად აქვს დაყენებული. გაიზარდნენ და სააგიტაციო მუშაობაში დახელოვდნენ აგიტატორები: ლ. ჩიხრალაძე, ბ. შავიძე, დ. ჭანკვეტაძე, გ. გაჩეჩილაძე, გ. შველიძე და სხვ. ისინი სისტემატურად ატარებენ საუბრებს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. ამხ. წასიძემ სსრკ-ის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების, სტალინური კონსტიტუციის და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მარტის პლენუმის დადგენილებათა შესასწავლად ჩამოაყალიბა წრეები. ამ წრეებში უკვე ჩატარებულია 6-7 საუბარი. კოლმეურნეობებში ჩამოყალიბებულია დამატებითი წრეები არტელის სანიმუშო წესდების შესასწავლად და ამხ. ბერიას მოხსენების „ღონისძიებანი საქართველოს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის" ღრმად შესათვისებლად. ხოზე დიასის (ძირულა), სტახანოვის (ილემი) და 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობებში ეს საკითხები კარგად შეითვისეს ამხ. ვ. სამხარაძემ, ი. შველიძემ, წასიძემ, შავიძემ, თ. ჩიხრალაძემ, გაჩეჩილაძემ და სხვ.

სააგიტაციო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა კომუნისტების ავანგარდული როლი და აქტივობა. თუ წინათ კომუნისტები: პ. კოდოშვილი, ნ. ებანოიძე, ვ. გაჩეჩილაძე და სხვ. პასიურობას იჩენდნენ, ახლა ისინი მოწინავე და აქტიურნი არიან.

კომუნისტები შეტევითი რევოლუციური სიფხიზლის ნიმუშებს იძლევიან. ძირულის აგურის ქარხნის ბოლშევიკებმა გამოამჟღავნეს ქარხნის ყოფ. დირექტორი ჯავახია, რომელიც პარტიულ ბილეთს ამოფარებული აწარმოებდა დამარღვეველ მუშაობას ქარხანაში, ამ საზიზღარმა არამზადამ ხელოვნურად შეაჩერა კაპიტალური გვირაბის მშენებლობა, საიდანაც ქარხანას უნდა მიეღო დიდი რაოდენობის ნედლი მასალა. იგი შეგნებულად უშლიდა ხელს სტახანოვურ მოძრაობას, არ ღებულობდა ტექნიკური უშიშროების ზომებს, ყალბ ცნობებს აწვდიდა ზემდგომ ორგანოებს გეგმების შესრულების შესახებ.

გამომჟღავნებულ იქნა აგრეთვე მომარაგების განყ. გამგე თვალთმაქცი ვ. ებანოიძე. ასევე მხილებულ იქნენ ძირულის ტერიტორიულ, შროშის საკოლმეურნეო და სხვ. პარტორგანიზაციებში: ვლ. წიორაძე, ს. თაბაგარი და ვას. გველესიანი.

ამხ. წასიძე დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევს ზონის პირველადს პარტორგანიზაციებს პარტიული დღეების ხარისხიანად ჩატარებაში. პარტიულ კრებამდე 4-5 დღით ადრე წასიძე მიდის პარტორგანიზატორებთან, ერთად ადგენენ დღის წესრიგს, შეარჩევენ მომხსენებლებს, გააკრავენ განცხადებებს და სხვ. ასევე გულდასმით მუშაობს იგი კომუნისტებს შორის დავალებათა სწორად განაწილებისა და ამ დავალებათა შესრულების შემოწმების უზრუნველსაყოფად.

აღნიშნულ მიღწევებთან ერთად ამხ. წასიძეს აქვს სერიოზული დეფექტები. მაგ., მის საინსტრუქტორო ზონაში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა პარტიაში წარჩინებული ადამიანების მიზიდვისა და პარტკანდიდატების წევრებად გადარიცხვისათვის. დღემდე მისი უბნიდან პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულია მხოლოდ 2 და კანდიდატობიდან წევრად გადარიცხულია 5 ამხანაგი. ასევე არადამაკმაყოფილებელია ზოგიერთი პარტორგანიზაციის მიერ (ძირულის ტერიტორიული და შროშის სტალინის სახ. კოლმეურნეობის პარტორგანიზაცია) კომკავშირის ხელმძღვანელობა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ დღემდე არავითარი პრაქტიკული მუშაობა არ არის გაწეული პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივანთა მოადგილეების მოსამზადებლად. ამხ. წასიძემ აღნიშნული ნაკლოვანებანი უახლოეს დროში უნდა გამოასწოროს.

ვ. გოგიაშვილი.

ამას პოლიტიკური აგიტაცია არ ეწოდება

(ზუგდიდი, „კომუნისტის" საკ. კორ.)

ზუგდიდის რაიონის მთელმა რიგმა პირველადმა პარტორგანიზაციებმა უყურადღებოდ დასტოვეს პოლიტიკური აგიტაციის საქმე.

ახალისოფლის საკოლმეურნეო პირველადმა პარტორგანიზაციამ (პარტორგი თირქია) დროზე გამოჰყო მესაუბრე-წამკითხველთა კოლექტივი, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. მესაუბრე-წამკითხველნი არავითარ სააგიტაციო მუშაობას არ ეწევიან. ამ მდგომარეობას თირქია არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ამ ორგანიზაციაში დამუშავებული და შესწავლილი არ არის „დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ". თვით პარტორგს თირქიას დებულებაზე წარმოდგენა არა აქვს. თირქიას უუნარობა კიდევ იმაში გამოიხატება, რომ მან 7 თვის განმავლობაში ერთხელაც ვერ შესძლო აგიტკოლექტივის სემინარის მეცადინეობაზე მოეყვანა აგიტატორები ახალისოფლის კოლმეურნეობიდან.

უფრო უარესი მდგომარეობაა ერგეტის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაში (პარტორგი ჯობავა). აქ პარტორგმა არც კი იცის, თუ ვინ არიან გამოყოფილი აგიტატორებად. სააგიტაციო მუშაობაზე აქ ლაპარაკიც ზედმეტია.

ასეთივე მდგომარეობაა მთელ რიგ სხვა პირველადს პარტორგანიზაციებში: (ცაიშის, ჯიხასკარის და სხვ.). ამ ორგანიზაციებში ძალიან ცუდად დამუშავდა „დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ", ზოგან კი სულაც არ შეუსწავლიათ.

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიონულმა კომიტეტმა სასწრაფოდ უნდა მიიღოს ზომები პოლიტიკური აგიტაციის საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულების წინააღმდეგ.

ბ. გრიგოლია



საბჭოთა კავშირის გმირთა მოედანზე შენდება დიდი, 11 სართულიანი საცხოვრებელი კომბინატი. სურათზე: კომბინატის მშენებლობა

ლენინის სახ. ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში გაიშალა სტახანოვური მოძრაობა ჩაის ფოთლის მკრეფელთა შორის. კრეფის სეზონის დაწყებიდანვე ევდოკია ბონდარენკოს მკრეფელთა რგოლმა იკისრა ვალდებულება ნორმების გადაჭარბებით შესრულების შესახებ. ახლა ეს რგოლი გეგმას 170 პროც. ასრულებს. სურათზე: ევდოკია ბონდარენკოს სტახანოვური რგოლი კრეფს ჩაის ფოთოლს. წინა პლანზე ევდოკია ბონდარენკო.

ლიმონ-მანდარინის დიდი სანერგე

ქობულეთი, (სპეც. კორ.) სოფელ ჩაისუბნის (ხალას სასოფლო საბჭო) ლენინის სახელობის კოლმეურნეობას ლიმონ-მანდარინის დიდი სანერგე აქვს. 130 ათასი სანერგე ტრიფოლიატი ისე კარგად და სანიმუშოდ არის მოვლილი, რომ ადამიანი ვერავითარ წუნს ვერ დასდებს.

შეხვალთ სანერგეს პლანტაციაში და გული სიხარულით აგევსებათ. კოლმეურნეები მუყაითად მუშაობენ—ტრიფოლიატზე ამყნობენ ლიმონს და მანდარინს.

კოლმეურნეობის აგრონომის ამხ. ს. გოგიჩაიშვილის თქმით, ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ მომავალი წლიდან 30 ათასი ძირი ლიმონი და მანდარინი უნდა გააშენოს. დანარჩენი 100 ათასი ძირი კი სხვა კოლმეურნეობებს უნდა მიჰყიდოს.

— როგორია ნამყენის გახარება?

— ძალიან კარგი, უკვე დამყნილიდან ყოველ ას ძირიდან 98-99 ძირი გახარებულია.

მყნობელთა შორის უმრავლესობა ახალგაზრდები არიან. მოხუცებთან ერთად ისინი ნამდვილ ოსტატობას იჩენენ.

— მაშ, თქვენს სანერგეში არაფერი გაკლიათ, არაფერი გიშლით ხელს მუშაობაში?

— მხოლოდ ერთი რამ გვაბრკოლებს,—ამბობს ახალგაზრდა მყნობელი ჰასანი—ძნელი საშოვნელია ლიმონისა და მანდარინის დასამყნობი კვირტები, კალმები. ორი დღის მარაგი-ღა გვაქვს, კოლმეურნეობის თავმჯდომარე კი მათ მომარაგებაზე ნაკლებად ზრუნავს.

კ. მავზარაშვილი

სამარცხვინო ჩამორჩენა გრძელდება

(მახარაძე, „კომუნისტის" სპეციალური ბრიგადისაგან)

რაიონის კოლმეურნეობებმა და ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს წელს უნდა ჩააბარონ 6.207 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ამ გეგმის წარმატებით შესრულება მოითხოვს რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციების სერიოზულ, გულისხმიერ მუშაობას.

25 აგვისტოსათვის რაიონში ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული იყო 76,4 პროცენტით.

ჩამორჩენის მიზეზს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების დამახინჯების შემთხვევები.

სილაურის კოლმეურნეობა „ჩაქუჩნამგალში" (თავმჯდომარე მიხაკო მეგრელიშვილი) 25 აგვისტოსათვის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა შესრულებული იყო 55,2 პროცენტით. გეგმის შეუსრულებლობის მიზეზად მან დაასახელა არახელსაყრელი კლიმატური პირობები. სინამდვილეში კი ამინდი არაფერ შუაშია, ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ კარგად არა აქვთ დაყენებული შრომის ორგანიზაცია. მაგალითად, მეველედ გამოყოფილი ჰყავდათ 6 კოლმეურნე, როდესაც საკმარისი იყო 2 კაცი. მეველეთა შემცირებაზე რაიკომს დასჭირდა მითითება. საბავშვო ბაგა არ მუშაობს წესიერად, რის გამო ქალთა მუშახელის ნაწილი გამოუყენებელია.

შემოწმების დროს გამოირკვა, რომ ახლად გაშენებული ნახევარი ჰექტარი ჩაის პლანტაცია გაუთოხნაობის გამო განადგურებული იყო. 15 ჰექტარი ჩაის პლანტაცია ამჟამადაც გაუთოხნავია, იგი ძალიან დაფარულია სარეველა ბალახებით. ეს კი იწვევს მოსავლის დაცემას. არაწესიერად სწარმოებს ბრძოლა ჩაის მავნებლების (ფარიანა, ჩრჩილი) წინააღმდეგ. განა უსულგულო დამოკიდებულების შედეგი არ არის ის, რომ ამ კოლმეურნეობაში ჩაის შეწამვლა არაწესიერად ჩაატარეს? აგრონომ რობაქიძეს და აგროტექნიკოს როყვას პასუხი უნდა მოეთხოვოს აგროღონისძიებათა არასწორად გატარებისათვის.

ლაშე - გაკირულის მეურნეობას ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა შესრულებული ჰქონდა მხოლოდ სანახევროდ, რაც უნდა აიხსნას უპირველეს ყოვლისა კოლმეურნეობის თავმჯდომარის მენაბდის უსულგულო მუშაობით, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეში დარღვევით. დაბალია შრომის დისციპლინა. კოლმეურნე გიორგი ჩხარტიშვილი თვითონ არ მუშაობს კოლმეურნეობაში, ამუშავებს დაქირავებულ მუშა-ხელს და შრომადღეებს თვითონ იწერს, ამ უმსგავსოების წინააღმდეგ დღემდე მიღებული არ არის ზომები.

ზოგან კოლმეურნეებს შრომადღეები არაწესიერად ერიცხებად. ექადიის კოლმეურნეობა „ჩვენი მიზანში" (თავმჯდომარე ფილიპე კონტრიძე) პირველი ბრიგადის ხელმძღვანელს მენაბდეს წევრების მიერ ორი თვის გამომუშავებული შრომადღეები შრომის წიგნაკებში არ შეუტანია. ამან გამოიწვია შრომადღეების დაკარგვა და კოლმეურნეების სამართლიანი უკმაყოფილება.

არაწესიერად სწარმოებს ფულადი ავანსების განაწილება მელექედურის ამხ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ნოე მელაძე). სანერგის გამგეს ნოე ჩხაიძეს ავანსად მიღებული აქვს 2.920 მანეთი. შრომადღეები სანერგის ხელმძღვანელობისათვის თვიურად განსაზღვრული არა აქვს და არც უწერია არცერთი შრომადღე. ავანსი კოლმეურნეებს შორის სამჯერ დარიგდა, ხოლო ჩხაიძემ 24-ჯერ მიიღო. აღნიშნული თანხის მეტი წილი გაცემულია თავმჯდომარის რეზოლუციის გარეშე, რაც დაუშვებელია.

ჯერ კიდევ 1936 წლის 25 აგვისტოს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მე-5 პლენუმზე ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ მიგვითითა: „კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების ამოცანები მოითხოვენ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას კოლმეურნეობებში, მთელი პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას კოლმეურნე მასებთან".

როგორც ჩანს, ამხანაგი ლ. ბერიას მითითებიდან მახარაძის რაიონის პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ვერ გამოუყვანიათ სათანადო დასკვნები.

ა. ხაზალია.
მ. დარჩია.

ალ. სულავა

მწერლები მეომრები

კაცობრიობის ისტორიაში ბევრი შესანიშნავი ფურცელია ხალხთა თავგანწირული ბრძოლებისა სამშობლოსა და თავისუფლებისათვის. ისტორიის ანალებში ბრწყინვალე ასოებით ჩაიწერება ესპანეთის ხალხის გმირული ბრძოლაც ველური ფაშიზმისა და იმპერიალისტ მოძალადეთა წინააღმდეგ. თავისუფლების მოყვარული გმირი ესპანელი ხალხი მთელი კაცობრიობის თვალწინ იძლევა იშვიათი თავდადების მაგალითებს—თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და სამშობლოს ბედნიერებისათვის ბრძოლაში. მაგრამ ფაშისტ მოძალადეებისაგან ესპანეთის განთავისუფლების საქმე მარტო ესპანელი ხალხის კერძო საქმე როდია, არამედ, როგორც დიდმა **სტალინმა** განაცხადა, მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობის საერთო საქმეა.

ესპანეთის სამოქალაქო ომში განასკვულია თანამედროვე ევროპის ურთულესი წინააღმდეგობანი. ამიტომაა, რომ ასეთი მღელვარებით ადევნებს თვალყურს მთელი კაცობრიობა ესპანეთის მიწა-წყალზე წარმოებულ ბრძოლებს. ამ ბრძოლებმა რევოლუციური ცეცხლით აღანთო არა მარტო ესპანეთის ხალხის საუკეთესო შვილები, არამედ მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები.

მსოფლიოში არ დარჩენილა ქვეყანა, რომ იქიდან ესპანელი ხალხის დასახმარებლად არ ჩასულიყვნენ ესპანეთში ფაშიზმის მოწინააღმდეგენი. ესპანეთის რესპუბლიკის მხარეზე მებრძოლი ინტერნაციონალური არმია შესდგება ესპანეთში საკუთარი სურვილით ჩასულ რევოლუციონერ ანტიფაშისტთაგან, რომელთა გმირული თავდადებული ბრძოლები ქვეყნიერებას აოცებს. ინტერნაციონალური ბრიგადების წარმოშობის ისტორია და მათი ბრძოლები ინტერნაციონალური სოლიდარობის უმაგალითო დემონსტრაციაა. ინტერნაციონალური არმიის რიგებს ამშვენებს მრავალი ფრანგი, გერმანელი, პოლონელი, ინგლისელი მწერალი, პოეტი, ჟურნალისტი, მხატვარი, რომლებიც იბრძვიან არა მარტო კალმით, არამედ თოფით ხელში.

იმდენად მძაფრია სისხლიანი ფაშიზმისა და ინტერვენტებისადმი სიძულვილი კაცობრიობის მოწინავე ნაწილში, იმდენად ძლიერია მოწადინება მათი განადგურებისა, რომ დღევანდელი ევროპის პროგრესულმა მწერლებმა კალამი თოფზე გადასცვალეს.

დამარცხდა ძველი ლათინური თქმულება—როცა ზარბაზნები ჰქუხან, მუზები სდუმანო. ესპანელ ხალხის გმირულმა ბრძოლამ და პირსისხლიანი მეამბოხეების ზარბაზნების ქუხილმა არა თუ ჩააჩუმა მუზები, არამედ ისინი უშუალოდ ბრძოლის ველზე გამოიყვანა. ფაშიზმის ბლვირასხნილობამ ფეხზე დააყენა, საბრძოლველად განაწყო კულტურისა და ლიტერატურის დიდძალი წარმომადგენლები. ამის გამოხატულებას წარმოადგენდა კულტურის დაცვის საერთაშორისო მეორე კონგრესი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ვალენსია-მადრიდში მიმდინარეობდა. ამ კონგრესში მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიოში განთქმული სახელები. კონგრესი ორგანიული გაგრძელება იყო იმ ფრონტისა, რომლის ალიც ბრძოლის ცეცხლს ანთებს მილიონობით რევოლუციონერთა გულებში, ამიტომაც ასე განუზომლად დიდი იყო ამ კონგრესის რეზონანსიც.

საკითხი, თუ რა როლი უნდა ითამაშოს ესპანეთის სამოქალაქო ომში მწერალმა, თავისთავად აყენებს საკითხს, საჭიროა თუ არა ნიჭიერმა მწერლებმა განზე გადასდონ კალამი და თოფ-იარაღი მოიმარჯვონ. ამხ. მ. კოლცოვმა ამის გამო კარგად შენიშნა: ბაირონმა უფრო მეტი გააკეთა თავისი ცხოვრებით მთელი კაცობრიობის განთავისუფლებისათვის, ვიდრე თავისი სიკვდილით საბერძნეთის განთავისუფლებისათვისო. მაგრამ აქვე შესანიშნავად დასძინა, მაგრამ არის მომენტები, როცა მწერალი თვითონ უნდა გახდეს თავისი ნაწარმოებების მომქმედი გმირიო.

აი სწორედ ასეთი გმირობის ბრწყინვალე მაგალითებს იძლევიან მთელი რიგი შესანიშნავი მწერლები, რომელთა შორის ბევრს საკუთარ ზურგზე განუცდია ფაშიზმის სისაძაგლე და საშინელება. მაგრამ ბრძოლის ასეთ აუცილებლობას განიცდიან არა მარტო ცალკე მწერლები. ანტიფაშისტ მწერალთა დიდმა კოლექტივმა ესპანეთის ფაშისტების მიერ დახვრეტილი ახალგაზრდა ესპანელი პოეტის გარსია ლორკას სურათის წინაშე რევოლუციური ფიცი დასდო, რომ არა მარტო თავიანთი ნაწარმოებებით, არამედ ფრონტზეც იბრძოლებენ ფაშისტური ჩაგვრისა და ტირანიის წინააღმდეგ.

პირველობა ამ ბრძოლებში, რასაკვირველია, ეკუთვნით ესპანეთის რესპუბლიკელ მწერლებს, რომელთაგან საუკეთესონი ომის დაწყების დღიდანვე ჩაებნენ ბრძოლებში. მაგრამ ისინი მარტო არ არიან. მათთან დგანან გერმანელი, ფრანგი და სხვა ქვეყნების ანტიფაშისტი მწერლები. სამაგალითოა ესპანეთის ლიტერატურის ერთი საუკეთესო წარმომადგენლის პოეტ რაფაელ ალბერტის შემოქმედება. იგი რევოლუციის ნამდვილი ჯარისკაცია, იარაღით ხელში მადრიდის დაცვის მონაწილე. ბევრჯერ სცადეს ფაშისტებმა ამ პოეტის ხელში ჩაგდება მასთან ანგარიშის გასასწორებლად, მაგრამ რ. ალბერტი კვლავ დგას რესპუბლიკის დამცველთა რიგებში და თავისი პოეტური შემოქმედებით კიდევ უფრო მჭიდროდ რაზმავს ესპანეთის რესპუბლიკელთა რიგებს. ასევე შეიძლება ითქვას მარია ტერეზას შესახებ, რომელიც ესპანეთის ლიტერატურის წარმომადგენელია და ამავე დროს ესპანეთის ხალხის საუკეთესო ქალიშვილი. თოფით ხელში იცავენ თავისი ხალხის თავისუფლებას ესპანელი მწერლები მიგელ ერნანდესი, ლორენსო ვარერა და მრავალი სხვები. სამოქალაქო ომის ქარცეცხლში ჩაბმულია გამოჩენილი ვალენსიელი პოეტი პლია ი ბელტრანიც. მან კალამი შაშხანით შესცვალა, მაგრამ დროდადრო მხატვრული სიტყვითაც რაზმავს მასებს მტრების წინააღმდეგ.

ფაშიზმის მსხვერპლი გახდა უნიჭიერესი პოეტი და დრამატურგი გარსია ლორკა. ეს იყო ესპანეთის ნამდვილი სახალხო პოეტი, მგზნებარე და უშესანიშნავესი ლექსების ავტორი. ფაშისტებმა იგი გრენადაში დახვრიტეს. მაგრამ ლორკას წინაშე ფიცი დასდო მწერალთა დიდმა რევოლუციურმა ოჯახმა, რომ იბრძოლებენ დაუნდობლად ფაშისტების წინააღმდეგ. ესპანეთის თავისუფლებისათვის ბრძოლებში დაიღუპა ინტერნაციონალური ბრიგადის გმირი უნგრელი მწერალი გენერალი ლუკაჩი. იგი დასაფლავებულია ესპანეთში და მის საფლავს ცოცხალი ყვავილების გვირგვინები ამშვენებენ.

ესპანეთის ხალხის თავისუფლებისათვის დაღვარა თავისი სისხლი მადრიდის მიწაზე ინგლისელმა მწერალმა კომუნისტმა რალფ ფოქსმა, იგი დაეცა ესპანეთის მიწაზე, როგორც ინგლისურ-ირლანდიური ასეულის სახელოვანი პოლიტკომისარი, მისმა სიკვდილმა დიდი მწუხარება გამოიწვია როგორც ესპანეთში, ისე მწერლის სამშობლოში და მის გარეთ.

ერთი უშესანიშნავესი და ბრწყინვალე სახელი, რომელიც ამშვენებს რესპუბლიკელ მებრძოლთა რიგებს, არის გერმანელი მწერალი ანტიფაშისტი ლუდვიგ რენი. იგი, ამჟამად ერთერთი ინტერნაციონალური ბრიგადის მეთაური, ავტორია შესანიშნავი ანტიიმპერიალისტური წიგნებისა: „ომი" და „ომის შემდეგ". ლ. რენი იმდენად პოპულარული მწერალია, რომ მის წიგნებს ფარულად კითხულობენ თვით ფაშისტების ბანაკშიაც ჯარისკაცები, რის გამოც ბევრს მათგანს კიდეც სჯიან სასტიკად. მსოფლიო კრიტიკის მიერ თავის დროზე ლ. რენის წიგნი „ომი" აღიარებულ იქნა უძლიერეს ნაწარმოებად ა. ბარბიუსის „ცეცხლისა" და ე. რემარკის წიგნის „დასავლეთის ფრონტი უცვლელია" შემდეგ.

გერმანელმა მწერალმა ქალმა ანნა ზეგერსმა, „მეთევზეთა აჯანყების" ავტორმა, კულტურის დაცვის მეორე კონგრესზე განაცხადა — „ფაშიზმმა წაართვა სამშობლო გერმანელ მწერლებს, მაგრამ მათ იპოვნეს ახალი სამშობლო მადრიდის სანგრებში". ეს სიტყვები სავსებით შეეხება ლ. რენსაც, რომელმაც დიდი ხანია დაჰკარგა თავისი სამშობლო გერმანია. მან ბევრი ტანჯვა და დამცირება გამოიარა ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკში. მაგრამ ფაშიზმის ხელში სიკვდილს და წვალებას ვაჟკაცურად გაქცევა არჩია. იგი გაიქცა საკონცენტრაციო ბანაკიდან და ესპანეთის ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში ჩადგა.

რამდენიმე წლის წინათ რევოლუციური ლიტერატურის საერთაშორისო ბიუროს ანკეტაზე ლ. რენი უპასუხებდა: „საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტური ომის შემთხვევაში მე პირველ ყოვლისა ვარ მსოფლიო პროლეტარიატის წითელი არმიის ჯარისკაციო". წითელი არმიის ჯარისკაცობის მაგიერ ლ. რენს წილად ხვდა სახელოვანი ინტერნაციონალური არმიის ერთერთი ბრიგადის მეთაურობა და ესპანელი ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლა.

კულტურის დაცვის მეორე კონგრესზე ლ. რენმა სთქვა: „ჩვენ, მწერლებმა, რომლებიც აქ საბრძოლველად მოვედით, განზე გადავდეთ კალმები. ჩვენ არ გვინდოდა ამიერიდან ისტორიის წერა, ჩვენი სურვილი იყო მისი კეთება. ამან მოიყვანა აქვე ჩვენი ძველი მეგობარი ლუკაჩი, ალბერტ მიულერი, რალფ ფოკსი, რომლებიც დაიხოცნენ ბრძოლის ველზე, და სხვებიც, როგორც მაგალითად გ. რეგლერი, რომელიც მძიმედ დაჭრილია".

ესპანეთში მებრძოლ მწერალთა შორის ლ. რენის შემდეგ ვხედავთ ერთ უშესანიშნავეს ფიგურას, რომელმაც „განზე გადასდო" კალამი და უშუალოდ ისტორიის კეთებას მოჰკიდა ხელი. ეს არის გერმანელი მწერალი გუსტავ რეგლერი.

ერთ თავის სიტყვაში რეგლერმა შესანიშნავად ჩამოაყალიბა მწერლის რევოლუციური მოვალეობა ფაშიზმთან სამკვდრო - სასიცოცხლო ომის დროს. „არ არსებობს კომპოზიციის სხვა პრობლემები, გარდა მტრების წინააღმდეგ მთლიანობის კომპოზიციისა. არ არის მხატვრული ფრაზის სხვა პრობლემა, გარდა იმისა, რომელიც უნდა ემსახუროს ბარბაროსების განადგურებას, არ არსებობს პოეტური გრძნობა, გარდა იმისა, რომელიც ასულდგმულებს ჩვენი დღეების ესპანეთს. არ არსებობს სტილის სხვა პრობლემები, გარდა ბრძოლის სტილისაო".

ამ შესანიშნავი, ვაჟკაცური საბრძოლო პროგრამის სტილს უპირველეს ყოვლისა თვითონ რეგლერი ანხორციელებს. იგი დროგამოშვებით სწერს პროკლამაციებს, მანვე დასწერა შესანიშნავი ნარკვევები გვადალახარის ფრონტზე, რესპუბლიკელთა გამარჯვებების შესახებ.

ამ სტილს იცავს და ატარებს ცხოვრებაში ფრანგი მწერალი ანდრე მალრო. შესანიშნავი წიგნების ავტორი, რესპუბლიკური ესკადრილიით იგი ცხრილავს და ანადგურებს კაცობრიობის უბოროტეს მტრებს — ფაშისტურ ურდოებს. იგი თავის თავში აერთებს მებრძოლი მწერლისა და მეომრის მოვალეობას. ერთი მხრივ ხელმძღვანელობს საავიაციო ბრძოლებს, მეორე მხრივ სწერს წიგნებს, რომლებითაც მთელ მსოფლიოს აცნობს ფაშიზმის ველურობას, ესპანეთის ხალხის გმირულ ბრძოლას. ასეთია მისი წიგნი „ესპანეთი! ესპანეთი!" — შესანიშნავი ეპოპეია უმძაფრესი ბრძოლებისა, ესპანეთის ხალხის გმირობისა, ფაშიზმის ბარბაროსობისა. ანდრე მალროს გვერდში უდგანან ესპანეთში მყოფი სხვა ფრანგი მწერლებიც: ანდრე ვიოლისი, ლუი არაგონი, რიშ. ბლოკი, პოლ ნიზანი და სხვები.

ესპანეთში იბრძვის ჰოლანდიელი პოეტი იეფ ლასტი. იგი ერთერთი ლეგიონის სერჟანტია, მადრიდის გმირი დამცველი. პოეტი ლასტი სამხედრო იარაღთან ერთად კარგად ხმარობს კალამსაც. იგი ავტორია „წერილებისა ესპანეთიდან". ხანმოკლე შვებულება ლასტმა ამას წინათ გაატარა თავის სამშობლო ჰოლანდიაში, მაგრამ მას იქ არ დაუსვენია, ეწეოდა აგიტაციას, აგროვებდა შეწირულებას, კითხულობდა მოხსენებებს, აცნობდა ხალხს ესპანეთში წარმოებული ომის სინამდვილეს. ამის გამო ლასტმა დაჰკარგა თავისი სამშობლოს ქვეშევრდომობა, მაგრამ იგი დაბრუნდა თავის ახალ სამშობლოში — მადრიდში.

შემთხვევითი როდია ფაქტი, რომ ესპანეთის ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლ ინტერნაციონალურ ბრიგადის რიგებში ჩასდგა ჩვენი ქვეყნისათვის კარგად ნაცნობი მატე ზალკა. ავტორი წიგნებისა „ხოდია", „ეუჟა", „დროშა", რომან „დობერდოსი" და მრავალი მოთხრობისა. მ. ზალკა როგორც მწერალი ჩამოყალიბდა იმპერიალისტური ომის შემდეგ. განსაკუთრებით სწერდა ანტიიმპერიალისტურ თემებზე. წარსულში სამხედრო პირი, იგი რუსეთის სამოქალაქო ომების აქტიური მონაწილე იყო. ფაშიზმისადმი სიძულვილმა მიიყვანა მ. ზალკა ინტერნაციონალურ ბრიგადამდე ესპანეთის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ხალხის თავისუფლებისათვის საბრძოლველად. მ. ზალკა ოდესღაც სწერდა: „მე დაჯილდოვებული ვარ წითელი დროშის ორდენით სამოქალაქო ომში ჩემი მოღვაწეობის გამო. მე კიდევ შევეცდები მივიღო ერთი ასეთი ნიშანიო", მაგრამ, სამწუხაროდ, ზალკა ვერ მოესწრო თავისი საწადელის შესრულებას. იგი ამ ცოტა ხნის წინათ მოკლულ იქნა ბრძოლის ველზე, სადაც ითვლებოდა გაბედულ და საყვარელ რესპუბლიკანელ გენერლად. იგი დაიბადა როგორც ანტიიმპერიალისტური მწერალი და მოკვდა გმირულად როგორც ანტიფაშისტი მწერალი და მეომარი.

სხვადასხვა ქვეყნის მწერალთა ასეთი აქტიური მონაწილეობა ესპანეთის განმთავისუფლებელ მოძრაობაში — უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა. იგი უძლიერესი რეალური გამოხატულებაა ესპანეთისადმი მთელი პროგრესული კაცობრიობის თანაგრძნობისა, ფაშიზმისადმი სიძულვილისა და კაცობრიობის დაცვისა ფაშისტური ბარბაროსობისაგან.

განსაკუთრებით დიდია ესპანეთისადმი საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმპატიები. ამ სიმპატიის უდიდეს გამოხატულებას წარმოადგენდა ჩვენი საყვარელი ბელადის ამხანაგ ი. სტალინის პასუხი ხოზე-დიასისადმი. ესპანეთის ხალხი უდიდესი სიყვარულით ატარებს გულში საბჭოთა ხალხისადმი სიყვარულს, რასაც შესანიშნავად გამოხატავენ ესპანეთის პოეტებიც სტალინისადმი მიძღვნილ ლექსებში. სტალინის ბრწყინვალე სახელი შეურიგებელი ბრძოლების დროშაა დემოკრატიული ესპანეთისათვის. ესპანეთის განთავისუფლების საქმე არა მარტო ესპანეთის ხალხის კერძო საქმეა, არამედ მთელი პროგრესული კაცობრიობისა. ამ დიდ საკაცობრიო საქმეს ემსახურებიან ესპანეთის მიწაზე იარაღით და კალმით ხელში მებრძოლი მწერლები — მეომრები.

◆

ბორჯომის ქალაქის საბჭომ ამ ზაფხულს დიდი მუშაობა გასწია ქალაქის რეკონსტრუქციისათვის ფოტო: პარაშუტისტი ქალის ქანდაკება, დადგმული სტადიონის შესასვლელთან.

შ. რუსთაველის იუბილეს წინ

„ფედერაციის" გამოცემანი

გამომცემლობა „ფედერაცია" შოთა რუსთაველის იუბილესათვის ამზადებს მთელ რიგ საინტერესო გამოცემებს.

დიდი ინტერესით წაიკითხავს მკითხველი პროფ. ი. ა. ჯავახიშვილის მონოგრაფიას — „რუსთაველის ეპოქის მატერიალური და სულიერი კულტურა", აგრეთვე მწერლების მიერ გამოთქმულ აზრთა კრებულს რუსთაველის შესახებ უძველესი დროიდან ჩვენამდე; კრებული გამოდის ს. ჩიქოვანისა და პ. ინგოროყვას რედაქციით.

გარდა ამისა მზადდება რუსთაველის ეპოქის ცნობილი ქართველი მეჩუქურთმის ბექა ოპიზარის ნამუშევართა ალბომი, ოპიზარი ცხოვრობდა თბილისში და საქართველოს სხვა რაიონებში. ალბომში შევა 60-დე მხატვრული ნაწარმოების ფოტოსურათი, იმავე დროს გამოვა მონოგრაფია ოსტატის შესახებ, დაწერილი პროფ. შ. ამირანაშვილის მიერ.

◇

გაწვევის წინ

თბილისის სამხედრო კომისარიატი აქტიურად ემზადება 1915 და 1916 წლებში დაბადებულთა წითელი არმიის რიგებში გაწვევისათვის.

ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქი წელს წითელ არმიაში გზავნის წერაკითხვის მცოდნე და ჯანმრთელ შევსებას.

შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა გაწვეულთა პროცენტი, რომელთაც მიღებული აქვთ არასრული და სრული საშუალო განათლება.

ასობით „მშთ"-ის („მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის") ნიშნოსნები ვოროშილოველი მსროლელები, ათობით მფრინავები, პარაშუტისტები და პლანერისტები, მომზადებულნი წარმოებისგან მოუწყვეტლივ, სიხარულით მიდიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში. ახალგაზრდა პატრიოტები უარს ამბობენ მინიჭებულ შეღავათებზე და თხოულობენ სამხედრო-ტექნიკურ სასწავლებლებში მიღებას.

ხდება მხატვრული გაფორმება იმ შენობის, სადაც იმუშავებს ხუთი გამწვევი კომისია. სამხედრო კომისარიატის მრავალრიცხოვან დარბაზებსა და ოთახებში მთელი რიგი ორგანიზაციები აწყობენ კუთხეებს. ლიტერატურის და გაზეთების ხმამაღლა კითხვას თავის კუთხეში აწყობს თბილისის განათლების განყოფილება. გაწვეულთათვის მზად იქნება თავდაცვა-ავიაქიმის კუთხეები, სადაც ნაჩვენები იქნება მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძლიერება და წითელი არმიის ყოფაცხოვრება. სანიტარიისა და ჰიგიენის კუთხეს აფორმებს თბილისის ჯანმრთელობის განყოფილება. საქართველოს მხატვრების მიერ შესრულებული სურათების გამოფენას აწყობს ხელოვნების მუშაკთა კავშირი.

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი სამხედრო კომისარიატის დიდ ეზოში მოაწყობს მასობრივ სასპორტო გამოსვლებს, მოაწყობს ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებს. იქვე მოხდება „მშთ"-ს პირველი საფეხურის ნორმების ჩაბარება.

გარდა ხუთი გამწვევი კომისიისა, რომლებიც იმუშავებენ სამხედრო კომისარიატთან, საგარეუბნო რაიონის გაწვეულთათვის მოწყობილია გამსვლელი კომისია. (საქდესი).

◇

სამეცნიერო ექსპედიციების დაბრუნება

საქართველოს მუზეუმის სხვადასხვა განყოფილებებმა წელს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში მიავლინეს სამეცნიერო ექსპედიციები. მიღებული ცნობით, ექსპედიციები ამთავრებენ მუშაობას, შეაგროვეს დიდი მეცნიერული მნიშვნელობის მასალა და ამ დღეებში დაბრუნდებიან თბილისში.

უკვე დაბრუნდა ზოოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც მიხ. ჩხიკვიშვილი მეთაურობდა. ამ ექსპედიციამ მოიარა მთა-თუშეთი. მალე ჩამოვლენ გეოლოგიური, ბოტანიკური და ეთნოგრაფიული ექსპედიციებიც. დაბრუნდა აგრეთვე არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც მუშაობდა ბორჩალოსა და კასპის რაიონებში. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა პროფ. გ. ნიორაძე.

◇

ნესვი კანტალუპა

ნესვი კანტალუპა ხასიათდება ნაყოფის სინაზით, არომატით და კარგი გემოთი. კანტალუპის ნაყოფს იყენებენ ნედლ ხილად. გარდა ამისა, მისგან ამზადებენ კონსერვს, მურაბას, ჩირს, ლიქიორს, ტკბილ წვენს, კრემს, კომპოტს, პავიდლოს, ტკბილის კვერს, ნაყინს, ნესვის თაფლს—ე. წ. „ბაქმაზს" და სხვა საშაქარლამო ნაწარმს.

ნესვ კანტალუპას ნაყოფი შეიცავს სასარგებლო ნივთიერებებს: სახამებელს, ცხიმს, აზოტოვანებს, ვაშლისა და ლიმონის მჟავას.

უკანასკნელ წლებში ნესვ კანტალუპას შესწავლასა და გავრცელებას საბჭოთა კავშირში დიდი ყურადღება მიექცა. რუსეთისა და უკრაინის საცდელი სადგურები ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწევიან. ამ კულტურის მოშენება შეიძლება თესლით. ნესვი კანტალუპა მოითხოვს ცხელსა და მშრალ ჰავას. საქართველოს პირობებში ეს კულტურა საუკეთესოდ ხარობს. ნიადაგი აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მეტ სიღრმეზე უნდა მოიხნას (18-25 სანტ.), ვიდრე დასავლეთში. კანტალუპას თესლი ჰექტარზე 2,3-3,3 კილოგრამი ითესება. კანტალუპა სიცივის მიმართ მგრძნობიარეა, ამიტომ მისი მინდვრად თესვა შეიძლება მხოლოდ გაზაფხულის ყინვების განვლის შემდეგ. ცივი რაიონებისათვის შესაძლებელია როგორც ჩითილების, ისე ნაყოფის სათბურებში გამოყვანა. ვაკიან და მშრალ ადგილებში საჭიროა ნათესების დროგამოშვებით მორწყვა.

შემოსული ნესვი ადგილობრივი ბაზრისათვის დაიკრიფება დილით ადრე (ნამის გაშრობის შემდეგ), შორეული ბაზრისათვის — ერთი კვირით ადრე ნაყოფის სრულ მომწიფებამდე. საქართველოს პირობებში ნესვი კანტალუპა ჰექტარზე 3-14 ათას ცალ ნაყოფს იძლევა. ეს კი საშუალოდ უდრის 8-12 ტონას. ერთი ჰექტარი კარგად მოვლილი კანტალუპას ნათესი დაახლოებით მოგვცემს 7.200 მანეთ შემოსავალს.

ნესვ კანტალუპას რამდენიმე ჯიშია ცნობილი, მაგრამ აქედან სამრეწველო ხასიათისაა 16-მდე. მათ შორის „დიდი პრესკოტტი" იმდენად მსხვილ ნაყოფს იძლევა, რომ ერთი ცალი 10 კილოგრამს იწონის. კანტალუპას ზოგი საადრიო ჯიშები, როგორიცაა „პატარა პრესკოტი", „ვოკლიუზი", „როკფორდი", ანვითარებენ ტკბილ, არომატიან წვრილ ნაყოფს. სწორედ ასეთმა ჯიშება დაიპყრო ამერიკის, საფრანგეთის და იტალიის ბაზარი. ისინი თავიანთი პატარა მოცულობით და საუცხოო გემოთი ფართოდ იზიდავენ მომხმარებელს.

კანტალუპას ხსენებულ პატარა ჯიშებს ჩვენში გავრცელებულ ნესვებთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ კანტალუპა უფრო ეგუება აქაურ ბუნებრივ პირობებს, — ვეგეტაციის პერიოდი მოკლე აქვს, ავადმყოფობის მიმართაც ამტანია, ივითარებს სქელ კანს მკრივი გემრიელი ხორცით, რითაც ტრანსპორტს საუკეთესოდ იტანს და მისი გატანა შორეულ ბაზარზედაც შეიძლება. აღნიშნულ უპირატესობათა გამო საქართველოს შესაფერ რაიონებში უნდა გავავრცელოთ კანტალუპას ეს ჯიშები. ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, კასპის, ყარაიას, ბორჩალოს და კახეთის რაიონებში კანტალუპას ხსენებული ჯიშები საუკეთესოდ ხარობს. ნესვ კანტალუპას ამ ჯიშებს ყველგან ერთნაირი მზრუნველობით როდი ეკიდებიან. ამიტომ ზოგან ვხვდებით კანტალუპას, რომელსაც დაკარგული აქვს ჯიშობრივი სიწმინდე და მისი გამოცნობა ძნელი ხდება თვით სპეციალისტებისათვისაც.

ეს ძვირფასი კულტურა ფართოდ უნდა დავნერგოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

აგრ. გალ. მინდაძე

◇

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„ნემსაძე დაუსჯელი დადის"

რედაქციაში ამ სათაურით შემოსული წერილის ავტორი სამტრედიის რაიონიდან გვწერდა: რაი-აღრიცხვის ინსპექტორი აკ. დომ. ნემსაძე თავისი თანამშრომლების კუთვნილ ხელფასს ითვისებს. მაგალითად, თანამშრომელ ზამთარაძეს, რომელსაც საქ. აღრიცხვის სამმართველოდან 182 მანეთი თვიური ხელფასი ეგზავნებოდა, ეს ვაჟბატონი რატომღაც 107 მანეთს აძლევდა, დანარჩენს კი სისტემატურად ითვისებდა. ამგვარად მას მითვისებული ჰქონდა 1890 მანეთი.

ეს აღმაშფოთებელი ფაქტი დადასტურდა. შესდგა საქმე, რომელიც გადაეცა სათანადო ორგანოს არამზადა ნემსაძის დასასჯელად, მაგრამ იგი დღესაც დაუსჯელია.

რედაქციამ ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა სამტრედიის რაიპროკურორს ამხ. დ. ესაკიას, რომელიც გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტი დადასტურდა, მიღებულია გადამჭრელი ზომები აკ. დომ. ნემსაძის პასუხისგებაში მისაცემად.

„შეუფერებელნი არიან"

რედაქციამ ამ სათაურით მიიღო წერილი გურჯაანის რაიონიდან, რომლის ავტორი გვწერდა: სოფ. მელაანის დაწყებითი სკოლის დირექტორი კოლა მაჭავარიანი და მისი ცოლი, ამავე სკოლის მასწავლებელი, შეუფერებელნი არიან თავიანთი თანამდებობისათვის, ისინი ვერ შესძლებენ ჩვენი ბედნიერი თაობის კომუნისტურად აღზრდასო.

საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის კულტპროპი ამხ. ბერუაშვილი, რომელსაც ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად ჰქონდა გადაგზავნილი, გვატყობინებს: წერილში აღნიშნული სიმართლეს შეეფერება. კ. მაჭავარიანი და მისი ცოლი მოხსნილი არიან სამუშაოდან.

V საბჭოთა თეატრალური ფესტივალის გახსნა

მოსკოვი, 1 სექტემბერი (საქდესი). 1 სექტემბერს მოსკოვში გაიხსნა V საბჭოთა თეატრალური ფესტივალი, რომელზედაც ჩამოვიდნენ უცხოელი სტუმრები დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნებიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ფესტივალი გაიხსნა სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის ფილიალში სსრ კავშირის ნაციონალური ხელოვნების საღამოთი. ფესტივალის გახსნას, უცხოელ სტუმრებს გარდა, დაესწრნენ დედაქალაქის ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი, მოსკოვში არსებული დიპლომატიური კორპუსის თანამდებობის პირნი, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

კონცერტს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის ხალხურ საკრავთა სახელმწიფო ორკესტრმა, ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა, სიმღერისა და ცეკვის რკინიგზელთა ანსამბლმა, აგრეთვე მთელმა რიგმა სხვა კოლექტივებმა და სოლისტებმა, უდიდესი წარმატება ჰქონდა ფესტივალის მონაწილეებს შორის.

◇ ◇ ◇

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

ვენა, 31 აგვისტო (საქდესი). 7 სექტემბერს ავსტრიის კურორტ ზემერინგში (ვენის მახლობლად) იწყება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც, ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონს ეივეს გარდა, მონაწილეობას მიიღებს ევროპისა და ამერიკის ქვეყნების 8 ჩემპიონი, მათ შორის რაგოზინი (სსრ კავშირი), ფლორი (ჩეხოსლოვაკია), კაპაბლანკა (კუბა), ელისკაზესი (ავსტრია), კერესი (ესტონეთი) და პეტროვი (ლატვია).

◇ ◇ ◇

პირველი დღე მე-4 სკოლაში

პირველ სექტემბერს დილის 8 საათზე მე-4 სკოლის კარებთან მოწაფეებს მოეყარათ თავი. საუბრობდნენ აგარაკზე, იმაზე, თუ ვის უფრო მეტად გაირუჯა მზეზე, ვინ იცურავა ზღვაში, წონაში რამდენი მოიმატა, როგორ გაატარა არდადეგები, გივი როგორ ჩაიჭრა ფიზიკაში და მარგომ რა კარგად მოამზადა და „ჩააბარა" ის საგანი, რომელშიაც „დაუნდობელმა" მასწავლებელმა „სუსტი" გამოაყოლა, აგარაკზე საზრუნავი და სადარდელი გაუჩინა. ამიტომ სხვები რომ ლხინობდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, იგი ნაძვნარში იჯდა და მათემატიკის ფორმულებს „აწვალებდა".

უკვე 8 საათს გადასცილდა. არც დირექტორი და არც მასწავლებელი არ ჩქარობდნენ. ეტყობა სკოლის კარებზე წარწერა: „მეცადინეობა დაიწყება 8 ნახ. საათზეო" დირექტორსაც დაავიწყდა და მასწავლებლებსაც...

მხოლოდ 26 კომუნარის რაიკომის მდივანს ამხ. დ. დანელიას არ დავიწყებია. ის სხვებზე ადრე მოადგა სკოლის კარებს და ერთხელ კიდევ მზრუნველობით შეამოწმა სკოლის შენობა, მისი ინვენტარი, კედლები, კარებზე წარწერა, წესრიგი და შესაფერისი მითითება მისცა დაგვიანებით მოსულ დირექტორს.

პირველმა ზარმა დაიწკრიალა. მოწაფეთა ზღვა მოაწყდა სკოლის კარებს. მათ აუხსნეს სკოლის რეჟიმი და რიგ-რიგობით შეიყვანეს გაკრიალებულ საკლასო ოთახებში. მეცადინეობა დაიწყო, მაგრამ ნორმალური არ იყო.

მე-5 პირველ კლასში (მასწ. ნინო კალანდარაშვილი) 34 მოწაფიდან 25 გამოცხადდა. მასწავლებელს პირველი გაკვეთილის გეგმა არ ჰქონდა და ამიტომ არც იცოდა, რა ესწავლებინა. მე-6 პირველ კლასსა და სხვა კლასებშიაც „საკმაოდ" აკლდნენ მოწაფეები. მაგრამ მე-6 კლასის მათემატიკის მასწავლებელი მხცოვანი პედაგოგი ანდრო გომელაური ყოველმხრივ მზად შეეგება საყვარელ სკოლას, მოსწავლეებს. მას გეგმაც აქვს და მუშაობის ახალგაზრდული ხალისიც.

მასწავლებლები კმაყოფილნი არიან. უკმაყოფილოა მხოლოდ ნინო ბეჟაშვილი. მას 26 კომუნარის სახელობის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ვ. მეტრეველი) ქართული ენის გაკვეთილები ჩამოართვა და რატომღაც ამ არასპეციალისტს გეოგრაფია შესთავაზა, ისიც 31 აგვისტოს დღის 12 საათზე. ხომ არ არის ეს გაკვეთილების განაწილებისათვის განსახკომის მიერ დადგენილი წესის დარღვევა?

სკოლას სასწავლო და სამეურნეო ნაწილის გამგეები არა ჰყავს. საკლასო ჟურნალები და პროგრამებიც არ მიუღიათ. ერთი სიტყვით, სავსებით ნორმალური მუშაობა ჯერ კიდევ არ არის დაწყებული.

შ. კერაძე



რუსთაველის პროსპექტზე გაცხოველებით მიმდინარეობს ქუჩის ასფალტირება. პროსპექტზე ივლიან ტროლეიბუსები. **სურათზე:** გზის სატკეპნი მანქანები მუშაობენ პროსპექტის ასფალტირებაზე.

ქუთაისის თეატრის ისტორია ცალკე წიგნად

ქუთაისი, 29 აგვისტო (საქდესი). რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი იუზა ზარდალიშვილი ერთი წლის წინათ შეუდგა მასალების დამზადებას ქუთაისის თეატრის ისტორიისათვის. მოკლე ხანში „ქუთაისის თეატრის ისტორია" ცალკე წიგნად იქნება გამოცემული. წიგნისათვის დამზადებულ მასალებში მრავალი საინტერესო და საგულისხმო ცნობებია.

ქუთაისში პირველი ქართული წარმოდგენა გაიმართა 1861 წლის 31 მარტს, ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის ხელმძღვანელობით. დაიდგა გ. ერისთავის „გაყრა". წარმოდგენა მიდიოდა გუბერნატორ გაგარინის სასახლეში, სადაც მოთავსებული იყო საზოგადო საკრებულო (ამჟამად იქ არის პედინსტიტუტის საერთო საცხოვრებელი). სცენის უნიჭიერესი მსახიობი ვასო აბაშიძე სცენაზე პირველად ქუთაისში გამოვიდა. მან 1875 წელს ითამაშა ბელოგუბოვის როლი ოსტროვსკის პიესაში „შემოსავლიანი ადგილი".

„ქუთაისის თეატრის ისტორიაში" მოცემულია მდიდარი მასალა, რომელიც ეხება ვასო აბაშიძის, დიმიტრი ბაქრაძის, აკაკი წერეთლის, კოტე მესხის, ლადო მესხიშვილის, ვალერიან გუნიასი, კოტე მარჯანიშვილის, ნინო ჩხეიძისა და სხვ. მოღვაწეების მუშაობას თეატრის დარგში.

◇

ხილის მექანიკურად საკრეფი მანქანა

ინჟ. ვალ. კალნიცკიმ ააგო ახალი მანქანა, რომლის საშუალებითაც შეიძლება ხე-ხილიდან ნაყოფის მექანიკურად კრეფა. ამ მანქანას შეუძლია შესცვალოს რამდენიმე მკრეფავის შრომა და გაანთავისუფლოს ადამიანი ხეების ტოტებზე მძიმე და ზოგჯერ სახიფათო შრომისაგან.

ინჟ. კალნიცკის გამოგონება მოიწონა თბილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის სატყეო კულტურის კათედრამ, რომელმაც დაადასტურა, რომ ეს მანქანა სრულებით არ აზიანებს ხილის ხეს და მისი გამოყენება შეიძლება ქვემოდან თესულის შესაგროვებლადაც.

საქართველოს სატყეო მრეწველობის კომისარიატმა გადასწყვიტა დაუყოვნებლივ დაუკვეთოს თბილისის ერთერთ ქარხანას ამ მანქანის დამზადება. მანქანის პირველი საცდელი ეგზემპლარის აგებას უხელმძღვანელებს თვითონ კონსტრუქტორი.

ინჟ. კალნიცკის კონსტრუქციის მანქანა მოძრავია და მისი გამოყენება მიზანშეწონილია ხე-ხილის დიდ ბაღებში.

◇

ქრონიკა

საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ამხ. სერაფიონ მიხეილის-ძე დონაძე დამტკიცებულია საქართველოს სს რესპუბლიკის შინაგაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილედ.

◇

გასწორება

სიღნაღის მემარჯვენეთა კონტრრევოლუციონურ მავნებელთა პროცესის ანგარიშებში (იხ. „კომუნისტის" 28 და 29 აგვისტოს ნომრები) მოხსენებულია დამცველთა კოლექტივის წევრის ჩაჩანიძის გვარი. უნდა იყოს ალ. ჭიჭინაძე

გაგრის ახალი საესტრადო თეატრი

ახალი თეატრი გაგრაში

10 აგვისტოს კურორტ გაგრაში საზეიმოდ გაიხსნა საქფილეგთის ახალი საესტრადო თეატრი. ზღვის პირას გაშენებული, დიდი, მრავალი ელნათურით გაჩირაღდნებული საკონცერტო არე, 1.100-ადგილიანი ამფითეატრი, არქიტექტურულად გაფორმებული ფასადი — ყოველივე ეს საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებს.

სეზონი გაიხსნა საქართველოს სახ. ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის კონცერტებით. პირველმა კონცერტებმა განსაკუთრებული წარმატებით ჩაიარა. დამსვენებლები აღტაცებაში მოიყვანა ნიჭიერმა დირიჟორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ორდენოსანმა **ევგ. მიქელაძემ**, რომელმაც დიდი ოსტატობით ჩაატარა ქართული მუსიკის საღამო. შემდგომ კონცერტებშიც ევგ. მიქელაძემ გამოიჩინა დიდი დახელოვნება რუსული სიმფონიური მუსიკის საუკეთესო ნიმუშების შესრულებაში (ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონია, რიმსკი-კორსაკოვის — „შეჰერეზადა", ესპანური კაპრიჩიო და სხვ.).

აუდიტორია მეტად თბილად შეხვდა ამ კონცერტებში მონაწილე სოლისტებს, თბილისის სახ. ოპერის ორდენოსან მსახიობებს **სანდრო ინაშვილს და დ. ანდღულაძეს**, რომლებმაც შესანიშნავად შეასრულეს არიები და დუეტები ოპერა „დაისიდან", „აბესალომ და ეთერიდან", „ევგენი ონეგინიდან" და „ტოსკადან".

20 აგვისტოს გაიმართა მეოთხე სიმფონიური კონცერტი თბილ. სახ. ოპერის დირიჟორ **ოდისეი დიმიტრიადის** ხელმძღვანელობით. ახალგაზრდა დირიჟორმა გამოიჩინა დიდი მუსიკალური გემოვნება და პარტიტურის საუკეთესო ცოდნა. მეხუთე პროგრამაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახ. არტ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის თეატრის სოლისტებმა და ჯაზ-გოლმა **ვლ. კანდელაკის** ხელმძღვანელობით. ამ პროგრამითაც მაყურებელი დიდად კმაყოფილი დარჩა. თვითეული ნომერი აუდიტორიის ოვაციას იწვევდა.

საუკეთესო საზაფხულო თეატრი და კარგად დაწყებული სეზონი — დიდი დამსახურებაა გაგრის საკურორტო სამმართველოსი დამსვენებელთა კულტმომსახურების საქმეში.

ს. ბეგიაშვილი

◇

რადიოგადაცემა

3 სექტემბერს.

11 ს. 10 წ.—12 ს. კონცერტი — რუსული, უკრაინული და ბელორუსული ხალხური სიმღერები (გრამ.).

17 ს. 10 წ.—17 ს. 58 წ. გასართობი მუსიკის კონცერტი (გრამ.).

18 ს. 30 წ. — 18 ს. 58 წ. მომღერალ გერმესაშვილის გამოსვლა. პროგრამაში ქართველი კომპოზიტორები.

21 ს. — 23 ს. 30 წ. ვერდის ოპერა „რიგოლეტო" მილანის თეატრ „ლასკალას" გუნდისა და ორკესტრის სოლისტების შესრულებით (გრამ.).

24 ს. — 0 ს. 55 წ. „უკანასკნელ ცნობათა" ღამის გამოშვების ტრანსლაცია მოსკოვიდან (კომინტერნის სახ. სადგური)

◇

შემთხვევები

ბოროტმოქმედი თავისით გამოცხადდა. 30 აგვისტოს რესპუბლიკური მილიციის სისხლის სამართლის განყოფილებაში გამოცხადდა ნაბიბეილი ისლამ გაჯი ოღლი და განაცხადა, რომ 1936 წელს მახაჩკალაში მას სხვადასხვა ბოროტმოქმედებებისათვის მიუსაჯეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. მიმდინარე წლის დამდეგს იგი გაიქცა გამასწორებელი სახლიდან და იმალებოდა სხვა და სხვა ქალაქში. კვლევაძიება სწარმოებს.

ტრამვაის ვაგონების დაჯახება. 1 სექტემბერს, დღისით, მუხრანისა და რიყის ქუჩების კუთხეში მოხდა ტრამვაის ვაგონების დაჯახება. ერთმანეთს დაეჯახა პირველი მარშრუტის ტრამვაი, რომელსაც მართავდა ვატმანი თოდრია და მესამე მარშრუტის ტრამვაი, რომელსაც მართავდა ვატმანი მ. არუთინოვი. ორივე ვაგონი მნიშვნელოვნად დაზიანდა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. დამნაშავენი მიცემული არიან პასუხისგებაში.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახ. პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

3 სექტემბერს:

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — ლექცია: ბოლშევიკთა პარტია სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისათვის ბრძოლაში და ახალი კონსტიტუციის გატარება (1935—1937 წლები).

რუსულ და ქართულ ენებზე. ატარებენ ამხ. ა. თვალთვაძე და პ. ჯიბლაძე.

დასაწყ. საღ. 8 საათზე.

პროპაგანდის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება და პარტიული პროპაგანდის ამოცანები.

რუსულ და ქართულ ენებზე. კონსულტანტი რუსულ ენაზე ამხ. კოპლატაძე, ქართულზე — ამხ. ბ. გოგუა. დასაწყ. საღ. 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება და აგიტატორთა ამოცანები.

რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. კონსულტანტი რუსულ ენაზე ამხ. ბოლდირევი, ქართულზე — ამხ. ი. არჩვაძე, სომხურზე — ამხ. პოლოსიანი.

დასაწყ. საღ. 8 საათ.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე — სსრ კავშირის კაპიტალისტური გარემოცვა და კლასობრივი ბრძოლა თანამედროვე ეტაპზე.

ქართულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. სიფრაშვილი. დასაწყ. საღ. 8 საათზე.

○

4 სექტემბერს, საღ. 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება აგიტსემინარი (რუსულ და ქართულ ენებზე) მცირერიცხოვანი პარტორგანიზაციების აგიტატორთათვის, თემაზე: სტახანოვური მოძრაობის ორი წლისთავი.

სარედაქციო კოლეგია

დღეს საქინოტრესტის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის პროსპ. № 135	დადგმის მე-5 კვირა დაკარგული სამოთხე დასაწყისი 6-40
დამკვრელი პლეხანოვის პროსპ. № 125	დადგმის მე-3 კვირა შორეულ აღმოსავლეთში დასაწყ. საზამთ. 6-30, საზაფხ. 8-45
კომკავშირელი პლეხანოვის პროსპ. № 91	ახალი ხმოვ. ფილმი ჩრდილოეთის პოლუსზე დასაწყ. საზამთ. 6-30, საზაფხ. 8-45
რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	ხმოვ. მხატვრ. ფილმი ცამეტნი დასაწყ. 6-30
26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი	საზაფხ. ნარინჯის ველი დასაწყ. 8-30 საზამთ. მონღოლეთის შვილი დასაწყ. 6-30
კომინტერნი ბრძოლის ქ. № 222	ხმოვანი კომედია მარიონეტები დასაწყ. 8-30
ახალი ამბები პლეხანოვის პროსპ. 125	საზოგადოების საყვარელი ხმოვ. ჟურნალები №№ 36, 37 დასაწყ. 6-30

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის
სამკერვალო სახელოსნო
(მალაკნის ქ. № 3)

შემკვეთლების საყურადღებოდ აცხადებს, რომ ქვემოჩამოთვლილი შეკვეთები—პალტოები ქალისა და კაცის, მამაკაცის კოსტუმები და ქალის კაბები, დამზადებული ა. წ. 25 აგვისტომდე, გამოსყიდულ უნდა იქნას სამი დღის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა. **აღნიშნული ვადის შემდეგ შეკვეთები გაიყიდება და არავითარი პრეტენზია არ მიიღება.**

415 1415 1412 1062 2047 1927 1398 1772 1947 2155 1925 2568
2034 1742 1744 1421 2337 1824 1580 1938 2031 1284 1581 1767
1245 1979 1160 1249 1927 1910 1930 1203 1491 1935 1237 577
1658 1654 1756 2101 2137 2003 1750 2078 1867 2418 1991 1972
1657 1326 2113 2135

შენიშვნა: დანარჩენი შეკვეთებიც: გიმნასტიორკები, შარვლები და იუბკები, რომლებიც მზად არის 25 აგვისტომდე, აგრეთვე გამოსყიდულ უნდა იქნას სამი დღის განმავლობაში.

368 ადმინისტრაცია.

წევრთა 1937 წლის 29 ივლისის საერთო კრების დადგენილების თანახმად, ხდება სარეწაო კოოპ. არტელ
„ენერგია"-ს ლიკვიდაცია
პრეტენზიების წარმოდგენის ვადა 15 სექტემბრამდე. შემდეგ არავითარი პრეტენზია არ იქნება განხილული. მისამართი: ლერმონტოვის ქ., № 7.
17339 ლიკვიდკომი

საქ. სარ. კავშირის სისტემის ვოროშილოვის სახელობის არტელის დასკვნითი ბალანსი 1937 წ. 1 იანვრისათვის

აქტივი — პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა მან. კაპ.	№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა მან. კაპ.
1	ძირითადი საშუალებანი	224.891—57	1	ფონდები	107.470—56
2	ნედლეული და მასალები	24.266—46	2	მიზნობრივი რეზერვები	4.950—54
3	წარმოება და გადამუშავება (დაუმთავრებელი)	38.743—44	3	გრძელვადიანი კრედიტები	397.099—52
4	ფულადი საშუალებანი	2.447—61	4	ანგარიშსწორებანი	83.014—76
5	საშუალებანი ანგარიშსწორებებში	27.040—66			
6	მომავალი დროის ხარჯები	10.267—10			
7	განყენებული საშუალებანი	8.145—40			
8	დანაკარგები წარსული წლებისა	199.203—07			
9	დანაკარგები ამა წლისა	36.930—07			
	ბალანსი	592.535—38		ბალანსი	592.535—38

1936 წლის დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1.	ხარჯები და ზარალი სხვადასხვა	97.868—59	1.	შემოსავალი რეალიზაციიდან	56.329—24
2.	ანარიცხები რეზერვების შესაქმნელ.	2.300—00	2.	შემოსავალი სხვადასხვა	6.909—28
			3.	დანაკარგები საანგარიშო წლისა	36.930—07
	ბალანსი	100.168—59		ბალანსი	100.168—59

ბალანსი დამტკიცებულია სარეწაო კავშირის საბალანსო კომისიის მიერ 1937 წ. 20 იანვარს.
გამგეობის თავმჯდომარე როჟკოვი. მთ. ბუხჰალტერი დადიანი. 1626

საქ. სარეწ. კოოპერატიული კავშირის არტ. „შეთანხმებას" დასკვნითი ბალანსი 1937 წ. 1 იანვრისათვის.

აქტივი — პასივი

№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	ჯამი	№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	ჯამი
1	ძირითადი საშუალებანი	4.551	1	ფონდები	2.785
2	საქონელი და მზანაწარმი	121.780	2	ანგარიშსწორებანი	105.250
3	ფულადი საშუალებანი	28.018	3	დაგროვებანი	72.172
4	საშუალებები ანგარიშსწორებებში	14.627			
5	ხარჯები მომავალი ოპერაც. ან—ში	900			
6	განყენებული საშუალებანი	10.331			
	ბალანსი	180.207		ბალანსი	180.207

1936 წლის დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1.	ზარალი რეალიზაციით	535	1.	შემოსავალი რეალიზაციიდან	72.707
2.	დაგროვება საანგარიშო წლის	72.172			
	ბალანსი	72.707		ბალანსი	72.707

დამტკიცებულია სარეწაო კავშირის საბალანსო კომისიის მიერ 1937 წ. 26 იანვარს.
გამგეობის თავმჯდომარე ა. ბოლქვაშვილი. მთ. ბუხჰალტერი მ. კიკნაძე. 1623

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, ბ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 3 34506